სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი
2025 - 2026 სასწავლო წელი

საქართველო, თბილისი
2025 წელი

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ:

- სახელწოდება: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
- საგანმანათლებლო დაწესებულების სახე: უნივერსიტეტი
- საკონტაქტო ინფორმაცია: ქ.თბილისი, კ.ქუთათელაძის ქ. N3, ტელ: 2 42 22 42
- საფოსტო ინდექსი: 0186
- ვებ გვერდი: www.sabauni.edu.ge
- ელ - ფოსტა: info@sabauni.edu.ge

საბაკალავრო პროგრამები

საგანმანათლებლო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (Business Administration)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში (Bachelor of Business Administration in Management)

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

სწავლების ენა: ქართული, ინგლისური სწავლების კომპონენტებით

პროგრამის მიზანი
ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: ➢ ევროპული ღირებულებების მქონე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის მენეჯმენტში მომზადება, რომელიც შეძლებს თეორიული ცოდნის საფუძველზე კრიტიკულად გაიაზროს ეკონომიკის, ბიზნესის, მენეჯმენტის, ფინანსების და მარკეტინგის კომპლექსური საკითხები. ➢ კურსდამთავრებულმა შეძლოს სხვადასხვა დისციპლინათა ურთიერთდაკავშირების გზით მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, მულტიკულტურულ გარემოში სწორი და რაციონალური მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღება; ➢ კურსდამთავრებულს გამოუმუშავოს სხვადასხვა სასწავლო კურსების კომპონენტების დაკავშირების გზით ბიზნესისა და მართვის სფეროში მიღებული ცოდნის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბებისა და დაინტერესებულ მხარეებისთვის გაზიარების უნარი ქართულ და ინგლისურ ენებზე. ➢ კურსდამთავრებულს გამოუმუშავოს სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის და პირველადი კვლევის განხორციელების უნარი, ასევე კურსდამთავრებულებმა შეძლონ გამოკვეთონ საკუთარი პროფესიული ინტერესები და ცოდნის სრულყოფა სწავლების უფრო მაღალ საფეხურზე; ➢ კურსდამთავრებულს გამოუმუშავოს პროფესიულ-ეთიკური ღირებულებების ფორმირებისა და დაცვის უნარი.

სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	კურსდამთავრებული: A. განმარტავს ეკონომიკის პრინციპების ფუძემდებლურ თეორიებსა და პრინციპებს; აღწერს ბიზნეს- ორგანიზაციების მართვის საკითხებს, კერძოდ: ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების -ზოგადი, სტრატეგიული, ოპერაციული და ინოვაციური მენეჯმენტის, პროექტების და ადამიანური რესურსის მენეჯმენტის, მარკეტინგისა და ფინანსური აღრიცხვის, მართვის ძირითად პრინციპებსა და მეთოდებს; ლოკალურ და გლობალურ ბიზნეს გარემოში კომპანიის ფუნქციონირებისა და სტრატეგიის ლავირების საკითხებს;
უნარი	B. აანალიზებს ბიზნესპროცესებს; სტრატეგიულ გეგმებზე მუშაობისას მოიძიებს და ამუშავებს შესაბამის სტატისტიკურ და ფინანსურ ინფორმაციას; მონაწილეობს ინდივიდუალური და ჯგუფური კვლევითი სამუშაოებისა და პრაქტიკული ხასიათის ბიზნეს პროექტების განხორციელების პროცესში; C. აღწერს ბიზნესის გარე და შიდა გარემოს, ახდენს კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის ანალიზს, ასაბუთებს და აყალიბებს დასკვნებს და სამეწარმეო იდეებს, სთავაზობს რეკომენდაციებს SWOT ანალიზის, სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის და სხვა სტანდარტული და/ან ინოვაციური მეთოდებით. ამის საფუძველზე ზეპირ და წერილობით ანგარიშს წარადგენს აკადემიურ და პროფესიულ წრეებთან ქართულ და ინგლისურ ენებზე ეფექტური კომუნიკაციისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.
პასუხისმგელობა და ავტონომიურობა	D. თანმიმდევრულად და მრავალმხრივად აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს და ახდენს შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენას; შეუძლია ცოდნის ამაღლება დამოუკიდებლად, ლიტერატურის გამოყენებით, კვლევის მეთოდების ამოცნობა და საბაკალავრო პროექტზე მუშაობა. E. აანალიზებს ბიზნესის სოციალურ პასუხისგებლობას, შეუძლია ორგანიზაციული, ეთიკური, სოციალური ნორმების ფორმირების პროცესში მონაწილოება.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით
240 ECTS (8 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 16 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2 – სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს, საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).

დასაქმების სფერო
კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს როგორც საჯარო, ისე კერძო ქართულ და უცხოურ კომპანიებში ქვედა და/ან შუალედური რგოლის მენეჯერის პოზიციაზე, ეფექტიანად განახორციელოს პროფესიული, მათ შორის საორგანიზაციო-მმართველობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, საინფორმაციო-ანალიტიკური, სამეწარმეო ან სხვ. საქმიანობა, რომლისთვისაც მოითხოვება/საკმარისია აკადემიური ხარისხი-ბინზესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში. ასევე, კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს: როგორც ქართულ, ისე უცხოურ ტურისტულ კომპანიებში, სახელმწიფო და კომერციული სექტორის ტურისტულ ორგანიზაციებში, საკურორტო ობიექტებზე ან/და სხვ. სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, საგამომცემლო და სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებში .

საკონტაქტო პირი: თამთა მიქაბერიძე ტელ: +995 577151110 e-mail: t.mikaberidze@sabauni.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამა: ტურიზმი (Tourism)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ტურიზმის ბაკალავრი (Bachelor of Tourism)

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი
საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც იაზრებს: ➢ ტურიზმის სფეროს ძირითად პრინციპებსა და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკის, ბიზნესის, მენეჯმენტისა და მარკეტინგის კომპლექსურ საკითხებს; ➢ ტურისტული საქმიანობის მართვისა და რეგულირების მექანიზმებს, ტურიზმის პოლიტიკისა და მისი მდგრადი ფუნქციონირების ტურიზმის სფეროს საკანონმდებლო რეგულირების ძირითად საკითხებს; ტურიზმის, როგორც მსოფლიო სოციალური მოვლენის, თავისებურებების, ქვეყნის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების, გარემოს დაცვისა და მდგრადი ტურიზმის განვითარების, ტურიზმის ოპერაციული სექტორების მართვის ძირითად ინსტრუმენტებს; ➢ ტურიზმის სექტორში სხვადასხვა აქტუალურ საკითხებს მინიმალური მითითებების შესაბამისად, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, კვლევითი სამუშაოების შესრულებისა და/ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელების შესაძლებლობებს. ➢ პროფესიული და ეთიკური ნორმების დაცვას, ეთნიკური, კულტურული, სოციალური და სხვ. ღირებულებების გათვალისწინებით.

სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	კურსდამთავრებული: (A) აღწერს: ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული სფეროების მართვის არსებით ფაქტორებს, თეორიებს, კონცეფციებს, განიხილავს ტურიზმის უახლეს ასპექტებს; ტურიზმის პოლიტიკის, მდგრადი ტურიზმის განვითარების, ტურიზმის სფეროს საკანონმდებლო რეგულირების ძირითად ინსტრუმენტებს; ტურიზმის სფეროს რაოდენობრივი და სტატისტიკური ანალიზის თანამედროვე მეთოდებს; ტურისტულ ბაზარზე ტურისტული საწარმოების ფუნქციონირების თავისებურებებს;
უნარი	(B) ახდენს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების პოტენციალის გამოვლენას, შეფასებას და მისი ხარისხობრივი მახასიათებლების იდენტიფიცირებას; ასევე ტურიზმის ბიზნესში რესურსების გონივრულად გამოყენების, დანიშნულების ადგილის გონივრული მართვის, პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების პრინციპების, გარემოს დაცვისა და მისი მდგრადობის შენარჩუნების ეკოტურისტული ასპექტების, ტურისტულ ბაზარზე კულტურული ტურიზმის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპებისა და თავისებურებების, ექსკურსიების სწორად წარმართვის, სასტუმროებისა და განთავსების სხვა საშუალებების ოპერაციული მართვის ცოდნის დემონსტრირებას საკომუნიკაციო და თანამერდოვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
პასუხისმგელობა და ავტონომიურობა	(C) აანალიზებს ტურისტულ საქმიანობაში წამოჭრილ პრობლემებს, ახდენს ტურიზმის ორგანიზაციის წინაშე მდგარი პრობლემების იდენტიფიცირებას და აყალიბებს გადაჭრის გზების რეკომენდაციებს სტანდარტული და გამორჩეული უახლესი მეთოდების გამოყენებით წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; (D) მსჯელობს ტურიზმის ბიზნესის სფეროში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების კანონზომიერებისა და ურთიერთკავშირის, ტურისტული კომპანიის საქმიანობაზე მოქმედი ფაქტორების შესახებ; ახდენს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად, შემოქმედებითად გამოყენებას; (E)ხელმძღვანელის რეკომენდაციების შესაბამისად, ახორციელებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, ტურიზმის სექტორში კვლევითი სამუშაოების შესრულებასა და/ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას; (F) მსჯელობს შემდგომი სწავლის საჭიროების და მიმართულების აუცილებლობაზე, ცოდნის სრულყოფის საჭიროებების იდენტიფიცირებას, სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურებზე,

	კვალიფიკაციის ამაღლების სხვადასხვა პროგრამებზე. ზრუნავს საკუთარი და სხვების კომპეტენციების მუდმივ სრულყოფაზე, მათ შორის მრავალკულტურულ გარემოში კულტურათა და თაობათა დაახლოებაზე პროფესიული, ეთიკური, სოციალური და დემოკრატიული ღირებულებების დაცვით.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით
240 ECTS (8 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 16 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2–სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTSკრედიტს, საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).

დასაქმების სფერო
კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს ტურიზმის ბიზნესის სფეროს კერძო და სახელმწიფო სექტორში, ქართულ და უცხოურ ტურისტულ კომპანიებში, სხვადასხვა მოკლე და გრძელვადიან პროექტებში და სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, საგამომცემლო და სამეცნიერო–კვლევით ან/და სხვა დაწესებულებებში, რომლისთვისაც მოითხოვება/საკმარისია ტურიზმის ბაკალავრის ხარისხი.

საკონტაქტო პირი: იზოლდა ხოხაშვილი ტელ: +995 593146810; e-mail: i.khokhashvili@sabauni.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამა: თეოლოგია (Theology)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი თეოლოგიაში (Bachelor of Arts (BA) - Theology)

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი

ძირითადი სპეციალობის შესაბამისად:

(A) ძველი და ახალი აღთქმის შინაარსობრივი ცოდნა და მისი განმარტებები;

(B) ადრეული, შუა, ძველი და ახალი პერიოდის ეკლესიის ისტორია, საქართველოს ეკელესიის ისტორია, საეკლესიო სამართალი, საკრამენტოლოგია, პატრისტიკული ლიტერატურა, ქრისტიანული საეკლესიო ხელოვნება;

(C) ეკლესიის დოგმატური მოძღვრება და ფუნდამენტური თეოლოგია, ქრისტიანული ეთიკა, ანტიკური, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ფილოსოფიის ისტორია, მსოფლიო რელიგიების ისტორიის ზოგადი ცოდნა, ისლამისმცოდნეობის შესავალი;

(D) თეოლოგიის სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე ხელმძღვანელის მითითებით მცირე მოცულობის კვლევის ჩატარების უნარ-ჩვევები, თეოლოგიური პრობლემებისა და თანამედროვე საკითხების დამუშავების, შემდგომი განვითარებისა და ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა;

(E) სხვადასხვა რელიგიისა და რელიგიური მიმდინარეობის პატივისცემა.

სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	კურსდამთავრებულს ეცოდინება/გაცნობიერებული ექნება: (A) წმინდა წერილის ტექსტების არსობრივი, დოქტრინალური ერთიანობა მისი განგებულებითი და სოტერიოლოგიური ასპექტები და ჩამოყალიბების ისტორია; შეძლებს წმინდა წერილის ისტორიული და კულტურული კონტექსტის დაზუსტებას; დაინახავს ახალი აღთქმის წიგნების დოგმატურ საზრისს; გაეცნობა წმინდა წერილის ეგზეგეტიკური ტრადიციული სკოლების სპეციფიკას; ექნება წმინდა წერილისა და მისი ეგზეგეტიკური ტრადიციების ფართო ცოდნა; (B) ადრეული, შუა, ძველი და ახალი პერიოდის ეკლესიის ისტორიის ცალკეული ღირშესანიშნავი მომენტების ისტორიული, საკრამენტალური, კანონიკური კონტექსტი და მნიშვნელობა; ეცოდინება უმნიშვნელოვანესი პატრისტიკული ავტორების მოღვაწეობა, მათი მთავარი თეოლოგიური იდეები, კონცეფციები და გავლენები; ეცოდინება ქრისტიანული საეკლესიო ხელოვნების ისტორია, მისი ეტაპები, განვითარების შინაგანი ლოგიკა და ექსპრესიის ფორმები; (C)ეკლესიის დოგმატური ფორმულირებების გამოცხადებითი საფუძვლები, მათი საღვთისმეტყველო და ისტორიული კონტექსტი, ტერმინოლოგიური გამოხატულებები და ანალიზი; გაეცნობა ქრისტიანული აპოლოგეტიკის მთავარ მომენტებს, რწმენისა და ცოდნის ურთიერდამოკიდებულებასა და ცალკეულ რელიგიურ-ფილოსოფიურ კონცეფციას; გააცნობიერებს ქრისტიანული ეთიკის ფუნდამენტალურ პრინციპებს და შეძლებს მათ თანამედროვე პიროვნულ, სოციალურ, ბიოეთიკურ, პოლიტიკურ და სხვა პრობლემატურ კონტექსტში გამოყენებას, გაეცნობა ქრისტიანული ეთიკის უახლეს პრობლემატიკასა და ასპექტებს; ეცოდინება ანტიკური, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ფილოსოფიის ის მნიშვნელოვანი იდეები და კონცეფციები, რომლებმაც არსებითი გავლენა მოახდინეს ადრინდელ და თანამედროვე თეოლოგიურ აზრზე. შეისწავლის ისლამისმცოდნეობის ელემენტებს დაშეძლებს საქართველოში და სხვაგან ისლამურ თემთან დაკავშირებული რელიგიური, სოციალური და კულტურული პრობლემების სათანადოდ გაანალიზებას. რელიგიების ისტორიაში მიღებული ცოდნა დაეხმარება კარგად გააცნობიეროს ცალკეული რელიგიური თემებისთვის დამახასიათებელი მსოფლმხედველობრივი, კულტურული და მათი სოციალურ ყოფასთან დაკავშირებული თავისებურებები; (D) ინდივიდუალური და პიროვნებათა შორის ურთიერთობის ფსიქოლოგიური საფუძვლები და შეძლებს მათ ქრისტიანული და ზოგადად, რელიგიური თვალსაზრისით შეფასებას; შეძლებს

	საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობის საფუძვლებისა და პერსპექტივების გააზრებას.
უნარი	კურსდამთავრებული შეძლებს: (E)ინტერკონფესიურ და ინტერრელიგიურ ურთიერთობებში აქტიურად ჩაბმას, ეკლესიის საკრამენტულ ცხოვრებაში მონაწილეობას, მისი მნიშვნელობისა და თეოლოგიური საზრისის სხვებისთვის გაზიარებას. რელიგიური, ისტორიული და ფილოსოფიური ტერმინოლოგიის გამოყენებას, თეოლოგიურ დისციპლინათა ურთიერთმიმართების განსაზღვრას და დოგმატური ტრაქტატის მნიშვნელობის ამოცნობას; შეუძლია ამ აქტიურობისას წარმოქმნილი გაუთვალისწინებელი პრობლემების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების სწორად შეფასება და მათი გადაჭრის გზების მოძიება; (F) თეოლოგიის პირველად და მეორედ წყაროთა განსხვავებას და ჰერმენევტიკისა და ეგზეგეტიკის პრინციპების საფუძველზე ბიბლიური ტექსტებიდან დასკვნის გამოტანას, სხვადასხვა რელიგიების წარმოშობის, გავრცელების ისტორიის, მათი მოძღვრების და საკრამენტული ტრადიციის შედარებით ანალიზს და რელევანტური დასკვენების გამოტანას, ანალიზზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას; (G) თეოლოგიის საკითხებზე და მის ინტერდისციპლინურ არეალზე დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობას რელევანტური ტერმინოლოგიისა და თანამედროვე კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით; რელიგიით, რწმენით და თეოლოგიით დაინტერესებული ადამიანებისთვის არათეოლოგიური ენით თეოლოგიური ცოდნის გადაცემას. სამუშაო ჯგუფში ინტერპერსონალურ კომუნიკაციას და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შემოქმედებითიშრომის პროცესის გამარტივებას; შეძლებს რელევანტური დასკვნების მისაღებად თანამედროვე მეთოდების გამოყენებას და ხელმძღვანელის მითითებებით მცირე მოცულობის კვლევის განხორციელებას.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	კურსდამთავრებული: (H) საღვთისმეტყველო წყაროების, სტატიებისა და მონოგრაფიების საფუძველზე ცოდნის შემდგომ გაღრმავებას; (I) მოყვასისადმი მსახურება, თანაგრძნობა, სხვისი თავისუფლების აღიარება, სოციალური სოლიდარობისა და პასუხისმგებლობის განცდა; საკუთარი საქმიანობისას - კომპლექსურ, არაპროგროზირებად სასწავლო ან სამუშაო გარემოს ჩათვლით - ეთიკური პრინციპებით ხელმძღვანელობა და განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით
240 ECTS (8 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 16 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2–სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).

დასაქმების სფერო
კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო სექტორის დაწესებულებებში, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, რელიგიურ ორგანიზაციებში, საგამომცემლო და სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებში ან/და სხვ., სადაც მოითხოვება/საკმარისია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის თეოლოგიაში აკადემიური ხარისხი. ასევე, კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს: მენეჯმენტის დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - როგორც ქართული, ისე უცხოური კომპანიების ადმინისტრაციულ, სამეურნეო, საინფორმაციო და სხვ. სამსახურებში, ფირმებსა და საწარმოებში; ტურიზმის დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - როგორც ქართულ, ისე უცხოურ ტურისტულ კომპანიებში, სახელმწიფო და კომერციული სექტორის ტურისტულ ორგანიზაციებში, საკურორტო ობიექტებზე ან/და სხვ. საერთაშორისო ურთიერთობების დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - საჯარო დაწესებულებები (სამინისტროები და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ინსტიტუტები), შესაბამისი პროფილის ორგანიზაციები არასამთავრობო და კერძო სექტორში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, მასმედიაში.

საკონტაქტო პირი: ვაჟა ვარდიძე ტელ: +995 599 76 51 46; e-mail: v.vardidze@sabauni.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამა: საერთაშორისო ურთიერთობები (International Relations)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი (Bachelor of International Relations)

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი
საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა კურსდამთავრებულს: (A) აძლევს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ცნებებისა და თეორიების, სტრუქტურისა და ინსტიტუტების, სისტემისა და სისტემაში მიმდინარე ინსტიტუციური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა პროცესების, დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობების სფეროს ფართო თეორიულ ცოდნას; (B) სძენს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ინფორმაციის მოძიების, ანალიზისა და პრაქტიკაში გამოყენების საბაზისო უნარებს; (C) უვითარებს საერთაშორისო ურთიერთობების ფუძემდებლური პრინციპების კრიტიკული გააზრების უნარს; (D) უვითარებს საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა აქტუალურ და პრობლემურ საკითხზე ხელმძღვანელის მითითებით მცირე მოცულობის კვლევის ჩატარების უნარ-ჩვევებს, საერთაშორისო პოლიტიკური პრობლემებისა და თანამედროვე საკითხების დამუშავების, შემდგომი განვითარებისა და ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობას.

სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	კურსდამთავრებულმა იცის/აცნობიერებს: A. საერთაშორისო ურთიერთობების სისტემისა და სტრუქტურის ძირითად პრინციპებს და თავისებურებებს, საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ტენდენციებს და მასთან დაკავშირებულ კომპლექსურ საკითხებს, საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე თეორიებს და მათ მნიშვნელობას საერთაშორისო სისტემის ფორმირებისათვის, მათ შორის საერთაშორისო სისტემის სტრუქტურას და ძალთა ბალანსის ძირითად მოდელებს; B. საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში მიმდინარე ინსტიტუციურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სხვ. პროცესებს და საერთაშორისო ურთიერთობების უახლეს პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, ფილო-სოფიურ, ისტორიულ, სამართლებრივ და ეკონომიკურ ასპექტებს.
უნარი	კურსდამთავრებულს შეუძლია: C. წინასწარ მიღებული მითითებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით საგარეო პოლიტიკური და დიპლომატიური პროექტების მომზადებაში და განხორციელებაში მონაწილეობა, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობა, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; მათ შორის რეგიონული და საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხებზე, რომლებიც მოითხოვს ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების გამოყენებას მსოფლიო პოლიტიკური პროცესების, საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და რეგიონული დინამიკის ანალიზისას; D. პროფესიული საქმიანობისას საერთაშორისო ურთიერთობებში წარმოქმნილი პრობლემის გადასაჭრელად სფეროსთვის დამახასიათებელი სტანდარტული და უახლესი მეთოდების შერჩევა და გამოყენება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვა და მოქმედება კონკრეტული სიტუაციის სპეციფიკისა და განმსაზღვრელი ფაქტორების გათვალისწინებით; E. სფეროს თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმა, რელევანტური მეთოდების გამოყენებით სიტუაციებისა და ინფორმაციის/მონაცემების შეფასება-ანალიზი, პრობლემების მიზეზებისა და შედე-გების ურთიერთკავშირის გაცნობიერება და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სათანადო გადაწყვე-ტილებების მიღება, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, ქართულ და ინგლისურ ენებზე წერითი და ვერბალური კომუნიკაცია და სხვ. უნარები.

	F. საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება, მოვლენების და კონკრეტული ფაქტების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა, პრობლემის იდენტიფიცირება და შესაძლო შედეგების პროგნოზირება და შეფასება, ინფორმაციის/მასალების დამუშავება და ანალიზი, სწორი დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება, წარმოქმნილი სიტუაციის, საკუთარი თავის და სხვების პიროვნული და ინტელექტუალური პოტენციალის, პიროვნული თვისებების, ქმედებების და მათი გამომწვევი მიზეზების ადეკვატური შეფასება, ანალიზი, თვითკრიტიკა, სხვისი მოსაზრებების ობიექტური შეფასებები, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება, ქცევითი სტრატეგიის ჩამოყალიბება და ადეკვატური მოქმედება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში პრობლემის გადაჭრის გზების დასახვა, მათ შორის გლობალური და რეგიონული პოლიტიკის კონტექსტში დამოუკიდებელი და არგუმენტირებული გადაწყვეტილებების მიღება.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	კურსდამთავრებული შეძლებს: G. საერთაშორისო ურთიერთობებში ღირებულებითი პრინციპებისა და ეთიკის სტანდარტის დაცვას; H. სწრაფად ცვალებად საინფორმაციო გარემოში ღირსეულად ადაპტირებასა და საკუთარი სასწავლო საჭიროებების დადგენა-განსაზღვრას სწავლის შემდგომი გაგრძელების მიზნით.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით
240 ECTS კრედიტი (8 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 16 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2–სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).

დასაქმების სფერო
კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო სექტორის დაწესებულებებში, საერთაშორისო და ადგილობრივ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, საელჩო/საკონსულოებში, საგარეო საქმეთა სამინისტროში და სხვ., სადაც მოითხოვება/საკმარისია საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. ასევე, კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს მენეჯმენტის დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - როგორც ქართული, ისე უცხოური კომპანიების ადმინისტრაციულ, სამეურნეო, საინფორმაციო და სხვ. სამსახურებში, ფირმებსა და საწარმოებში; ტურიზმის დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - როგორც ქართულ, ისე უცხოურ ტურისტულ კომპანიებში, სახელმწიფო და კომერციული სექტორის ტურისტულ ორგანიზაციებში, საკურორტო ობიექტებზე ან/და სხვ; თეოლოგიის დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - სახელმწიფო და კერძო სექტორის დაწესებულებებში, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, რელიგიურ ორგანიზაციებში, საგამომცემლო და სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებში ან/და სხვა.

საკონტაქტო პირი: მარიამ ელიაძე ტელ: +995 557496694; e-mail: mariam.eliadze@sabauni.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამა: ფსიქოლოგია (Psychology)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის ბაკალავრი (Bachelor of Psychology)

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

სწავლების ენა: ქართული, ინგლისური სწავლების კომპონენტებით

პროგრამის მიზანი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს თანამედროვე თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის, ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციების მქონე კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ ადგილობრივი შრომის ბაზრის მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებას; უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სწავლის გაგრძელებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, პრაქტიკულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში საკუთარი კომპეტენციებისა და შესაძლებლობების რეალიზებას და კარიერულ წინსვლას, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს საზოგადოების ინტელექტუალურ, ზნეობრივ, კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

A. გააცნოს ფსიქოლოგიის არსი; ფსიქოლოგიის როგორც მეცნიერების განვითარების ისტორია; თანამედროვე ფსიქოლოგიის ძირითადი მიგნებები და გამოწვევები.
B. შესძინოს ფსიქოლოგიის სხვადასხვა ქვედარგის (პიროვნების ფსიქოლოგია, განვითარების ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია) შესახებ ფართო თეორიული ცოდნა;
C. გამოუმუშავოს ფსიქოლოგისთვის საჭირო პიროვნული და პროფესიული, მათ შორის კვლევითი უნარ-ჩვევები; ამასთანავე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების და ქართულ და ინგლისურ ენებზე კომუნიკაციის უნარი;
D. გამოუმუშავოს ფსიქოლოგიის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტიანად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
E. ჩამოუყალიბოს პროფესიული საქმიანობისას ეთიკის პრინციპების დაცვის, ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის, ცოდნის მუდმივი განახლების, კომპეტენციების სრულყოფისა და პროფესიული განვითარებისათვის საჭირო პასუხისმგებლობა.

სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	კურსდამთავრებულს: (A) ეცოდინება ფსიქოლოგიის საგანი და ამოცანები; ფსიქოლოგიის როგორც მეცნიერების ჩამოყალიბების ისტორია და თანამედროვე მიმდინარეობები; ფსიქოლოგიის ძირითად ცნებები, მეცნიერული კვლევის პრინციპები და მეთოდები, თეორიული მიდგომები, ემპირიული აღმოჩენები, დარგის უახლესიმიღწევები და სამეცნიერო დისკუსიებში არსებული პოზიციები; (B) ეცოდინება ფსიქოლოგიის სხვადასხვა ქვედარგის მეცნიერული, თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები; ადამიანის ფსიქიკური პროცესების ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები, პიროვნების არსი და ინდივიდუალური განსხვავებების განზომილებები, ინდივიდების ქცევის ბიოლოგიური, კოგნიტური, აფექტური, სოციალური და კულტურული საფუძვლები; ადამიანის განვითარებისა და ფუნქციონირების, ამასთანავე სოციალური ურთიერთობების კანონზომირებები, სხვადასხვა პათოლოგიის თავისებურებები; ფსიქიკური აშლილობებისა და დარღვევების თანამედროვე საკლასიფიკაციო სისტემები; ფსიქიკური აშლილობების კლინიკური გამოვლინებები და სადიაგნოსტიკოკრიტერიუმები; (C) ეცოდინება ფსიქოლოგიის კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები (დაკვირვება, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, გამოკითხვა, კონტენტ-ანალიზი, შემთხვევის შესწავლა, ექსპერიმენტი), მათი მახასიათებლები, უპირატესობები და ნაკლოვანებები (გამოყენების შეზღუდვები); (D) გაცნობიერებული ექნება ფსიქოლოგის პროფესიის სოციალური მნიშვნელობა; ფსიქოლოგის როლი კლინიკურ, მულტიდისციპლინურ და სხვა სფეროებში; პროფესიული საქმიანობის მიზნები, ამასთანავე მორალური პრინციპები და პროფესიული საქმიანობისას საკუთარი კომპეტენციის საზღვრების დაცვის მნიშვნელობა.
უნარი	კურსდამთავრებული შეძლებს: (E) ფსიქოლოგიის კვლევის საგნისა და მიზნების იდენტიფიცირებას; ინდივიდის ფსიქიკური პროცესების, ქცევების და ამ ქცევების მიღმა არსებული მოტივებისა და განწყობების შეფასება-ანალიზს თეორიულ მიდგომებზე დაყრდნობით; ფსიქოლოგიური პრობლემების ამოცნობას, პრობლემების

	მიზეზებსა და შედეგებს შორის კავშირის დადგენას და პრევენციული და ინტერვენციული მიდგომების შერჩევას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. (F) წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად მცირე მასშტაბის კვლევის დაგეგმვასა და ჩატარებას კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვით (საკვლევი საკითხის სწორად დასმას, კვლევის მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბებას, კვლევის დიზაინის შემუშავებას – ცვლადების შერჩევას, ჰიპოთეზ(ებ)ის ფორმირებას, შესაბამისი კვლევის მეთოდის შერჩევას, რელევანტური ინსტრუმენტის მოძიებას/ადაპტირებას/შექმნას; საველე სამუშაოების განხორციელებას; მონაცემების შეგროვებას და დამუშავებას აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკის ელემენტების გამოყენებით (კომპიუტერული პროგრამის SPSS-ის საშუალებით); შედეგების ანალიზსა და რეკომენდაციების შემუშავებას). (G) თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით ქართულ და ინგლისურ ენაზე (B2 დონეზე) ინფორმაციის მოძიებას და ფსიქოლოგიური ტერმინოლოგიის გამოყენებით, ზეპირი და წერილობითი ფორმით, სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის გადაცემას; იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ წერილობითი ანგარიშის მომზადებას აკადემიური სტანდარტების დაცვით;
პასუხისმგებლობადა ავტონომიურობა	(H) ავტონომიურად ა) განსაზღვრავს ფსიქოლოგიის სფეროში შემდგომი სწავლისა და/ან მიღებული ცოდნის გაღრმავების /მუდმივად განახლების საჭიროებებს; ბ) მიიღებს გადაწყვეტილებებს არაპროგნოზირებად გარემოში გაუთვალისწინებელი პირობების საპასუხოდ. (I) აიღებს პასუხისმგებლობას ა) პროფესიული ეთიკის ნორმების პრაქტიკაში გამოიყენებასა და წახალისებაზე; ეთიკური კვლევის ძირითადი ღირებულებებისა და აკადემიური პატიოსნების დაცვაზე, რაც გულისხმობს პლაგიატის თავიდან არიდებას, ობიექტურობის, ანონიმურობის/კონფიდენციალურობის/პერსონალური მონაცემების დაცვას და სხვა; ბ) საკუთარი წინააღმდეგობრივი მოსაზრების კორექტულადგამოხატვაზე, განსხვავებული აზრის მიმართ ტოლერანტობისა და პატივისცემის გამოვლენაზე;ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობაზე, კოლეგების მხარდაჭერაზე; გ) განსხვავებული შესაძლებლობების/საჭიროებების მქონე პირების მიმართ ინდივიდუალურ მიდგომაზე.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით
240 ECTS (8 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 16 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2–სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს, საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).

დასაქმების სფერო
ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ დასაქმდნენ შრომის ბაზარზე არსებულ ისეთ სამუშაო ადგილებზე, რომლებისთვისაც ფსიქოლოგის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი დამაკმაყოფილებელი იქნება (დასაქმების ძირითადი სფეროებია: განათლება, ჯანდაცვა, სოციალური მომსახურება და მართვა). ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად შეიძლება დასაქმდეს: • სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში; • ადრეული განათლების ცენტრში; • სკოლაში; • სამედიცინო დაწესებულებაში; • მენტალური ჯანმრთელობის ცენტრში; • ფსიქო-სოციალური და ფიზიკური რეგილიტაციის ცენტრში; • საკონსულტაციო დიაგნოსტიკურ ცენტრში; • ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრში; • ბავშვთა და მოზარდთა აბილიტაციის ცენტრში; • კვლევით დაწესებულებაში; • ტრენინგ-ცენტრში; • განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრში; • სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციაში ადამიანური კაპიტალის მართვის მიმართულებით; • არასამთავრობო ორგანიზაციაში სოციალური პროექტების მიმართულებით.

საკონტაქტო პირი: თამარ ქობულაძე ტელ: +995 555 28 98 03 e-mail: t.kobuladze@sabauni.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამა: სოციოლოგია (Sociology)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციოლოგიის ბაკალავრი (Bachelor of Sociology)

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

სწავლების ენა: ქართული, ინგლისურენოვანი კომპონენტებით

პროგრამის მიზანი

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს:

A. შესძინოს სოციოლოგიის საფუძვლებისა და ძირითადი თეორიების, ასევე, სოციოლოგიის სხვადასხვა აქტუალური მიმართულების შესახებ ფართო თეორიული ცოდნა;
B. განუვითაროს სოციოლოგიური პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიდევნების, აგრეთვე, ეფექტური კომუნიკაციის, სოციოლოგიის მიმართულებით ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი;
C. ჩამოუყალიბოს სოციალური კვლევის პრაქტიკული და სოციოლოგიის თეორიის პრაქტიკული გამოყენებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები;
D. სოციოლოგიის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები;
E. მისცეს სოციოლოგიის სხვადასხვა აქტუალურ და თანამედროვე თემაზე ხელმძღვანელის მითითებით მცირე მოცულობის კვლევის ჩატარების უნარჩვევები, სოციოლოგიური პრობლემებისა და თანამედროვე საკითხების დამუშავების, შემდგომი განვითარებისა და ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა.

სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	კურსდამთავრებულს ეცოდინება/გაცნობიერებული ექნება: A. სოციოლოგიის საფუძვლები, ძირითადი თეორიების, ინსტიტუტებისა და მიმდინარე პროცესების შესახებ საბაზისო ინფორმაცია, ასევე, სოციოლოგიის ძირითადი ცნებები, თეორიული მიდგომები და ემპირიული მიგნებები; B. სოციოლოგიის კვლევის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდები, მათ შორის, ინტერვიუს სხვადასხვა ფორმა, დოკუმენტების ანალიზი, ლიტერატურის მიმოხილვა, ფოკუს-ჯგუფები, დაკვირვებადა ეთნოგრაფიული კვლევა, დისკურს- ანალიზი, კონტენტ-ანალიზი, ექსპერიმენტი და მასობრივი გამოკითხვა.
უნარი	კურსდამთავრებული შეძლებს: C. სოციოლოგიური პრობლემის იდენტიფიცირებას, მისი არსის ჩამოყალიბებას, პრობლემის გადაწყვეტის თეზისის განვითარებას, მისი გადაწყვეტის ადეკვატური გზების შერჩევასა და პრობლემის გადაწყვეტის შერჩეული მიდგომების თაობაზე კომუნიკაციას; D. მონაცემების შეგროვებას, სტანდარტული და უახლესი მეთოდის გამოყენებით განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზს; E. აზროვნების აბსტრაჰირებას, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიებას, მიღებული ინფორმაციის დამუშავებასა და ანალიზს, ასევე, ახალი იდეების გენერირების, დისკუსიის წარმართვის, საკუთარი მოსაზრებების საჯარო წარდგენის უნარების გამომუშავებას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	კურსდამთავრებული შეძლებს: F. სოციოლოგიის მიმართულებით ცოდნის მუდმივად განახლებას, აგრეთვე, კრიტიკულ აზროვნებასა და თვითკრიტიკას; G. პიროვნული და პროფესიული პრინციპების დასამკვიდრებლად სწრაფვას, სოციალური პასუხისმგებლობისა და ეთიკის ნორმების დაცვას.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

240 ECTS კრედიტი (8 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 16 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2–სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).

დასაქმების სფერო

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მიღებული ცოდნა გამოიყენონ როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორებში ნებისმიერ იმ თანამდებობაზე სადაც მოითხოვება სოციოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული საქმიანობის განსახორციელებლად შეიძლება დასაქმდეს:

- სოციოლოგიური და ანალიტიკური კვლევის ცენტრებში;
- განათლების, პოლიტიკის, ეკონომიკის, მედიცინის, სპორტისა და ხელოვნების სფეროში ექსპერტ-ანალიტიკოსად;
- მარკეტინგულ და საკონსულტაციო-ანალიტიკურ ორგანიზაციაში;
- საჯარო და კერძო სტრუქტურაში ორგანიზაციის მართვისა და მენეჯმენტის სფეროში.

საკონტაქტო პირი: კატარჟინა ლიდია ლენარდ-კლოში ტელ: +48 605 235 379 e-mail: katarzyna.lenart-klos@kul.pl

საგანმანათლებლო პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება (Political Science)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავარი (Bachelor of Political Science)

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

სწავლების ენა: ქართული, ინგლისურენოვანი კომპონენტებით

პროგრამის მიზანი

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის მიზანია:

A. ხელი შეუწყოს მაღალი კომპეტენციის მქონე პოლიტიკის მეცნიერების სპეციალისტების, საჯარო მოხელეებისა და სხვა მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე კადრების მომზადებას:

B. კურსდამთავრებულმა შეძლოს პოლიტიკური ინსტიტუტების მახასიათებლების, პოლიტიკური აქტორებისა და მათი ქცევის, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, გაანალიზება და შეფასება;

C. კურსდამთავრებულები აღჭურვოს პოლიტიკური საქმიანობისთვის საჭირო უნარ-ჩვევებითა და ინსტრუმენტებით, რაც დაეხმარება მათ იკვლიონ, შეიმუშაონ და მართონ პოლიტიკური პროცესები სხვადასხვა სამთავრობო და ადმინისტრაციულ ორგანოში;

D. კურსდამთავრებულს გამოუმუშავოს პოლიტიკის მეცნიერების სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე ხელმძღვანელის მითითებით მცირე მოცულობის კვლევის ჩატარების უნარ-ჩვევები, პოლიტიკური პრობლემებისა და თანამედროვე საკითხების დამუშავების, შემდგომი განვითარებისა და ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა.

სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	კურსდამთავრებულს ეცოდინება/გაცნობიერებული ექნება: A. პოლიტიკის მეცნიერების ძირითადი კონცეფციები, პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია, პოლიტიკური იდეოლოგიები, სახელმწიფოს ტიპები, მმართველობის ფორმები, პოლიტიკური რეჟიმები და მათთვის დამახასიათებელი თავისებურებანი; ასევე, ლიბერალურ-დემოკრატიული, ტოტალიტარული, აღმოსავლეთის და დასავლეთის, ერთგვაროვანი და ფრაგმენტული, საბაზრო და ეტატისტური სუბკულტურების შესახებ თეორიები, მსოფლიო, გლობალური და შედარებითი პოლიტიკის საფუძვლები; B. პოლიტიკური მარკეტინგისა და საარჩევნო კამპანიის თეორიული, სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტები, საარჩევნო სისტემების, პოლიტიკური პარტიებისა და პარტიული სისტემების რაობა და ფუნქციონირების თავისებურებები; C. თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სისტემის რაობა, მისი სამართლებრივი მდგენელი, არსებული პრობლემატიკა და განვითარების ტენდენციები; საქართველოში ელექტრონული მმართველობის დანერგვისა და განვითარების უახლესი პერსპექტივა როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე; სამხრეთ კავკასიის კონტექსტის მნიშვნელობა, ასევე, საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნების პოლიტიკის თავისებურებები და განმაპირობებელი ფაქტორები.
უნარი	კურსდამთავრებული შეძლებს: D. პოლიტიკის სფეროში არსებული თეორიების, კონცეფციებისა და ინსტიტუტების გამოყენებით პოლიტიკური სისტემებისა და მიმდინარე პროცესების როგორც სოციო-პოლიტიკურ, ისე სამართლებრივ შეფასებას და დიაგნოსტირებას; პოლიტიკური ფიგურანტების მიერ დეკლარირებული პროგრამებისა და წინასაარჩევნო დაპირებების ანალიზის საფუძველზე დაადგინოს, რა ღირებულებების მატარებელია ესა თუ ის პოლიტიკური სუბიექტი და რა პროცესები დაიძვრება მათი გამარჯვების შემთხვევაში; პოლიტიკური პროცესების პროგნოზირებას; ასევე, პოლიტიკური მარკეტინგისა და საარჩევნო კამპანიის შესახებ საკუთარი დასკვნების არგუმენტაციას, სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაციას. E. შეაფასოს საფრთხეები, რომლის წინაშც შეიძლება აღმოჩნდეს სხვადასხვა ორგანიზაცია და შესთავაზოს მათ სათანადო ცვლილება თეორიასა და ემპირიულ ანალიზზე დაყრდნობით; გაუწიოს რეკომენდაცია სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო უწყებას; დახვეწოს და განავითაროს

	ელექტრონული მომსახურება; F. ემპირიული და სხვა სახეობის სოციალური კვლევების ჩატარებას თანამედროვე მეთოდოლოგიების გამოყენებით როგორც საზოგადო, ისე კერძო სექტორში, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, აკადემიური პატიოსნების სტანდარტისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	კურსდამთავრებული: G. იცნობს მნიშვნელოვან აკადემიურ და ეთიკურ საკითხებს, რომლებიც ახასიათებს პოლიტიკის საგანს და იცავს პროფესიული ეთიკის პრინციპებს; H. ადგენს სწავლის შემდგომი გაგრძელების საჭიროებას და შეუძლია განსაზღვროს საკუთარი პროფესიული განვითარების შესაძლებლობები.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით
240 ECTS კრედიტი (8 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 16 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2–სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).

დასაქმების სფერო
პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავარს შესაძლებლობა ექნება დასაქმდეს, როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში. მათ შორის: • საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში; • საჯარო ადმინისტრაციაში • ადგილობრივ თვითმმართველობებში • პოლიტიკურ პარტიებში • მედიაში • არასამთავრობო ორგანიზაციებში • ლობისტურ ორგანიზაციებში • ბიზნესში • საქართველოში აკრედიტირებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში და სხვ. ასევე, კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს: მენეჯმენტის დამატებითი სპეციალობის შესწავლის შემთხვევაში - როგორც ქართული, ისე უცხოური კომპანიების ადმინისტრაციულ, სამეურნეო, საინფორმაციო და სხვ. სამსახურებში, ფირმებსა და საწარმოებში; ტურიზმის დამატებითი სპეციალობის შესწავლის შემთხვევაში - როგორც ქართულ, ისე უცხოურ ტურისტულ კომპანიებში, სახელმწიფო და კომერციული სექტორის ტურისტულ ორგანიზაციებში, საკურორტო ობიექტებზე ან/და სხვა. საერთაშორისო ურთიერთობების დამატებითი სპეციალობის შესწავლის შემთხვევაში - საჯარო დაწესებულებებში (სამინისტროები და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ინსტიტუტები), შესაბამისი პროფილის ორგანიზაციებში არასამთავრობო და კერძო სექტორში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, მასმედიაში.

საკონტაქტო პირი: ავთანდილ ჯოხაძე ტელ: +995 577425683 e-mail: a.jokhadze@sabauni.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალი (LAW)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის ბაკალავრი (Bachelor of Laws)

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

სწავლების ენა: ქართული, ინგლისურენოვანი კომპონენტებით

პროგრამის მიზანი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:

(A) ფართო თეორიული ცოდნა ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების, ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების, სამართლის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ფილოსოფიური, ისტორიული და ეკონომიკური ასპექტების, აგრეთვე ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრისა და კანონმდებლობის შესახებ;

(B) სიღრმისეული ცოდნა საჯარო, კერძო, საერთაშორისო და სისხლის სამართლის დარგებში.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

(C) საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიდევნების, აგრეთვე კომუნიკაციის, ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი;

(D) სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;

(E) სამართლის სფეროში სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები;

(F) სამართლის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი.

სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	კურსდამთავრებული: (A) იცნობს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებებს, პრინციპებსა და ინსტიტუტებს საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის მიმართულებით, აგრეთვე საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ეროვნულ და უცხოურ სამეცნიერო აზრსა და კანონმდებლობას; (B) იაზრებს სამართლის არსს, კომპლექსურ საკითხებსა და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობას სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის; განმარტების მეთოდებს; სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებს; ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს; საერთაშორისო საჯარო და ევროკავშირის სამართლის ძირითადი პრინციპებსა და ინსტიტუტებს; სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს; სანივთო სამართალს; საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალს; ადმინისტრაციული სამართლის არსსა და პრინციპებს; დანაშაულის არსს, სახეებსა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს; სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, საკონსტიტუციო და სისხლის სამართალწარმოებას, საგადასახადო სამართლის ძირითად ინსტიტუტებს, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მეთოდებს; ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებსა და რომაული სამართლის საფუძვლებს.
უნარი	კურსდამთავრებული: (C) ახდენს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირებას, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიებას, განმარტებასა და გამოყენებას; (D) ადგენს იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის, შუამდგომლობის და ა.შ.) პროექტებს; (E) წყვეტს იურიდიულ შემთხვევებს სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე, ავითარებს თეზისს და ასაბუთებს შერჩეულ მიდგომას, აყალიბებს სამართლებრივად დასაბუთებულ დასკვნებს და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით წარმოაჩენს საკუთარ სამართლებრივ პოზიციებს; გასწევს სამართლებრივ კონსულტაციას და წარმოადგენს პირის ინტერესებს როგორც სასამართლოში, ისე არასასამართლო დავის შემთხვევაში;

	(F) მოიძიებს ინფორმაციას ქართულ და ინგლისურ ენაზე B2 დონეზე და გადმოსცემს მას იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, ზეპირი და წერილობითი ფორმით, სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის; ამზადებს დეტალურ ანგარიშებს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი და ზეპირი ფორმით;
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	კურსდამთავრებული: (G) ახერხებს საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მიდევნებასა და ცოდნის მუდმივად განახლებას; (H) იცნობს იურიდიული საქმიანობის ეთიკის ფარგლებს. მოწოდებულია, ხელი შეუწყოს პირთა უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

240 ECTS კრედიტი (8 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 16 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2–სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).

დასაქმების სფერო

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშავოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.
სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული იურიდიული საქმიანობის განსახორციელებლად შეიძლება დასაქმდეს:

- საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში;
- სასამართლო ორგანოებში;
- სამართალდამცავ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებში;
- საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებში ან სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში.

Education Program: Business Administration

Qualification to be Awarded: Bachelor of Business Administration

Higher Education Level: Bachelor

Language: English

Admission Requirements

Admission on program for Georgian citizens having received complete secondary education in Georgia:

Admission is carried out on the basis of a ranging document generated according to the results of National Examinations (at least 75% of maximum evaluation is mandatory in English).

For foreign citizens and those with no Georgian citizenship, having received complete, general or equal education abroad or/and study/studied in a foreign country, having got credits/qualification in an educational institution recognized according to the legislation of the country for Georgian citizens that received complete, general or equal education in any foreign country, studied abroad during last 2 years of complete education abroad or/and live/lived, study/studied for at least 75 days in a foreign country, having gained credits/qualification in a foreign country in an educational institution approved by the legislation of the country.

The candidates are to pass English language exam in the university (B2 level is mandatory. The applicant should gather at least 61% out of overall evaluation), or represent an English Language B2 certificate. Namely: FCE;IELTS- 5.5-6.5; TOEFL Paper 513-547; TOEFL CBT-183 – 210; TOEFL IBT- 65-78. All certificates should be valid while student applies and the applicant should be allowed to provide it. Invalid documents are rejected. In such case candidates are to pass the university exam.

The university holds an interview with candidates in order to find out their English level and ensures availability of the interview video footage for the Ministry according to the law-established rules and dates.

Mobility is also allowed – Compatibility of students of Sulkhan Saba University and those studying at the same level English-language programs (learning outcomes, achieved within the framework of already passed academic program (competencies) with the present Bachelor educational program shall be established under applicable legislation of Georgia.

Structure of the Program

Benchmarks: Grounded on 1) detail analysis of the labor market of Georgia and 2) comparative analysis of similar programmes in Georgia and partner universities abroad it has become evident that some learning outcomes of similar programmes (from other HEI's of Georgia) are inconsistent with labour market requirements. These inconsistencies are the crucial point and general conclusion is that similar programmes offer insufficient courses and learning outcomes as a result of which graduators: have a little ability to use a wide range of cognitive and practical skills for creative solution of abstract problems due to the little understanding of the possibilities of professional activities. Taking into account these factors, the program benchmarks were established as a thorough plan or method for determining the appropriate goal to be achieved over a long period of time.

Program benchmarks:

- Providing students with the best skills and knowledge in such a way that all four directions of the internationalization policy (activity, competence, culture and process) are covered, which will give students a better international perspective of adapting and taking a competitive position in the world market
- Providing students with deep knowledge and understanding in the field of arts, economics, technical and philosophical sciences, based both on the results of the newly reviewed labor market, and on the needs of the country's economic and social development
- Provision of skills and competencies such that students were able to apply knowledge in practice, to judge, to communicate, to identify additional training needs and to participate in the value formation process by linking the components of different disciplines

- Promoting employment opportunities for graduates through cooperation with potential employers.

Goal of the program: Based on benchmarks, the goal of the program is to train highly qualified specialists in the field of business administration to successfully: a) carry out entrepreneurial, administrative and research activities; b) the dissemination of European values (eg, human rights, democracy, law, property rights, economic freedom, etc.) in Georgia and around the world by providing students with theoretical knowledge and practical skills in calculus, statistics, economics, management, marketing, finance, modern technology, philosophy, psychology and law.

Core Competencies: It is assumed that the goal is achieved when acquiring core competencies. Core competencies have been set up as a measure of core benefits that student will have after completion the program and are listed as abilities to:

develop creative ideas and undertake entrepreneurial activities. Elaborate and implement innovative projects

administrate business-processes

demonstrate rational decision-making and sound communication skills

Deal with complexity problems such as economic or social profit/maximization issues both in private and public enterprises

Learning Outcomes	
Knowledge and Understanding	**On the successful competion of the program student:** 1. Identifies, explains and describes concepts, principles, tools, methods, and terminology in the field of Economics, Management, Marketing, and Finance 2. Explains the state of the world through study of philosophy, history of European civilization, foreign languages, political sciences, and other disciplines 3. Describes and interprets the law and business law as well as ethical and social issues 4. Understands Generally Accepted Accounting Standards. Identifies, explains and describes concepts, principles and procedures of accounting records, financial reporting, as well as comprehends the role of financial ratios in the financial world 5. Explains and exmines a) human action and behavior; b) how firms make decisions; c) market forces and stuctures; d) tradeoff idea and benefits of trade; e) why market fails and the role of governements in society 6. Extends mathematical and business statistical methods necessary to make business-decisions 7. Extends knowledge in academic writing and English language 8. Genralizes how to successfully develop captivating products and services to solve challenging problems in a highly uncertain environment, often under considerable time constraints with very limited resources 9. Examines how businesses are planned, developed, organized, and operated in our modern political, social, and economic environment 10. Identifies, genralizes and describes macroeconomic variables such as economic growth, unemployment, inflation, business cycles and etc.

Skills	**On the successful competion of the program student will be able to** 1. Apply the principles and techniques of human resource management to the discussion of major personnel issues and the solution of typical case problems associated with selection, recruitment, training, motivation, supervision and the compensation of the sale force 2. Demonstrate the application of operations management mechanisms within the business environments 3. Differentiate the administration process in public and private sector. Applying the basic methods, theories and the best practices in respect with accountability and control, personnel management, budgeting and financial management. 4. Through analysis of external and internal environments compose appropriate plans and strategies on corporation, business, functional and opration levels. Formulate the strategic position of the organization 5. Develop personal career management competencies, build a personal brand and manage it 6. Identify, classify, compare, connect and contrast different organizational activities and operations. Identify appropriate rules and procedures. Assemble organization structure 7. Through application of modern information technologies, math and statistical methods, collect, measure, disclose, aggregate, and apply managerial information necessary to make effective managerial decisions 8. Appraise stock and bond prices up or down and conduct operations in financial markets 9. Calculate costs and choose firm's production levels to maximize profits under different market structures 10. Demonstrate oral, writing and listerning skills at least in English language consistent with B2.2 level. Work out bisiness papers 11. Measure, evaluate and compare various methods in finance, management, marketing and economics and draw supportable conclusions. 12. Analyze the impact of economic events on markets and evaluate the factors affecting firm behavior, such as production and costs analyze and the performance of firms under different market structures. 13. Independently and critically examine different theoretical and empirical phenomena 14. Assess the government's role in the economy in a macroeconomic context. Use economic analysis to evaluate controversial issues and policies.

	15. Write concise business documents and deliver professional oral presentations 16. Communicate strategically in a variety of business situations
Responsibility and Autonomy	**On the successful competion of the program student should be able to:** 1. Highlight the skills required for successful, lifelong professional development and through getting familiar with modern publications and researches find strategies and methodologies that can assist in the acquisition of professional development skills. 2. Engage in self-reflection and achieve greater self-understanding, exhibiting openness to alternative possibilities and conceptual frameworks 3. Manage own professional development and provide leadership to others in the achievement of ongoing competence in human resources professional practice. 4. Respect and share values of liberty, democracy, accountability, solidarity, and economic freedom 5. be aware of right, wrong, good and bad; share moral principles and their application ineveryday life

Information about program	
	The compositon of the program is based on ECTS system. Design of the workload of the program is in full compliance with European education system and meets all requirements of laws of Georgia. Program duration is 4 academic years that is 8 semesters and consists of 240 credits;1 credit = 25 astronomical hours. 1 astronomical hour = 60 minutes. Credits indicate the amount of work required to cover any of the components of the academic program and achieve learning outcomes. Credit is obtained only if the outcomes specified in the syllabus are achieved i.e. a student obtains pass grade as specified in the Resolution #3 of 2007 of the Minister of Education and Science of Georgia and University Statute. Creditsystem is based on the experience of European universities. Credit is composed of contact hours and hours for independent work. 240 credits = 6000 hours. In every semester student should earn 30 credits (30 credits = 750 hours.) that is 60 credits per year. However, based on program specification and student's individual workload, per year volume of credits can

Employment Opportunities
Based on entrepreneurial knowledge and skills, Graduators will raise funds, collect innovative ideas, work out appropriate business-project, undertake business-activity, ensure sustainable expansion of the business, export a business abroad and through developing new services create new brands and extend company's image worldwide. Likewise, acquired knowledge is a guarantee that graduators will find a proper jobs both in private and public sector and can carry out activities in following areas: Financial accounting and other finance-related activities; Logistics and procurement; Marketing and public relations; Strategic planning and management of operations; Planning and implementing human resources policy; Management of banking operations; Intermediation on the capital market; managing conflicts; sustaining economic development through participation of conducting right economic policy; Budget planning for public and private enterprises; forecasting variety of trends through analysis of global turbulence and macroeconomic indicators. Graduators will have an ability to define own needs and to evaluate and share own and others' attitude towards values, characteristic for professional activity. From this point of view, graduators should be able to find jobs on lower and middle level manager positions in Georgia and abroad. Consequently, graduators will: a) take part in the process of planning and organizing of enterprises; b) make decisions; c) conduct administrative affairs; d) efficiently head organization's functional departments, and e) elaborate strategic plansand innovative projects.

Contact: Akaki Tsomaia T: +995 577445051; e-mail: ak.tsomaia@sabauni.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამა: ინგლისური ფილოლოგია (English Philology)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში (Bachelor of Arts in English Philology)

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

სწავლების ენა: ქართული, ინგლისური კომპონენტებით

პროგრამის მიზანი

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს თანამედროვე თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის, ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციების მქონე კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ ადგილობრივი შრომის ბაზრის მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სწავლის გაგრძელებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, პრაქტიკულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში საკუთარი კომპეტენციებისა და შესაძლებლობების რეალიზებას და კარიერულ წინსვლას, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს საზოგადოების ინტელექტუალურ, ზნეობრივ, კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

(A) შეძინოს ინგლისური ფილოლოგიის სფეროს, მათ შორის ინგლისური ენის სტრუქტურისა და კომპოზიციის, ბრიტანული და ამერიკული კულტურის და ლიტერატურის საკითხების, ფართო ცოდნა და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
(B) განუვითაროს სხვადასხვა მიზნისა და აუდიტორიისათვის ინგლისურ ენაზე სხვადასხვა ფორმით თავისუფალი კომუნიკაციის განხორციელების უნარი საერთაშორისო და მრავალფეროვანი პროფესიული გარემოს მოთხოვნების გათვალისწინებით;
(C) განუვითაროს მეორე უცხოურ ენაზე (გერმანულ/ფრანგულ/რუსულ) კომუნიკაციის განხორციელების უნარი;
(D) განუვითაროს პროფესიულ, ლინგვისტურ თუ ლიტერატურულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიებისა და კრიტიკულად ანალიზის უნარი; უზრუნველყოს სტუდენტები ფილოლოგიური კვლევისათვის საჭირო მეთოდების ცოდნით პრაქტიკული გამოყენებისთვის.
(E) ჩამოუყალიბოს ინგლისური ფილოლოგიის სფეროში პროფესიული საქმიანობისას ეთიკის პრინციპების დაცვის, ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის, ცოდნის მუდმივი განახლების, კომპეტენციების სრულყოფისა და პროფესიული განვითარებისათვის საჭირო პასუხისმგებლობა.

სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	კურსდამთავრებული: A. ფლობს ფართო ცოდნას ინგლისური ენის განვითარების სპეციფიკის, ბრიტანულ და ამერიკული ენის, ლიტერატურის, კულტურის, გეოგრაფიისა და ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ. B. აღწერს ფილოლოგიის საკითხებს, მთავარ პრინციპებს, კონცეფციებს, თეორიებს, მეთოდებს.
უნარი	კურსდამთავრებული შეძლებს: C. იყენებს ინგლისური ენის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი, ლექსიკა, გრამატიკა, კომუნიკაციური კომპეტენცია) ცოდნას B2 დონეზე წერილობითი და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, ზოგად და სპეციფიკურ კონტექსტში, მ. შ. რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადასაჭრელად; D. იყენებს რომელიმე მეორე უცხოურ ენას (გერმანულ/ფრანგულ/რუსულ) B1 დონეზე; E. ახდენს ლიტერატურული ნაწარმოების/ლინგვისტური ნაშრომის ანალიზს ლიტერატურათმცოდნეობის და ლინგვისტური მეთოდების მეშვეობით და იყენებს მათ პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად; F. აყალიბებს და გადაცემს პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სპეციფიკური შინაარსის ტექსტებს, ინგლისური ფილოლოგიის მნიშვნელოვან საკითხებზე საკუთარ პასუხისმგებლიან მოსაზრებებს და არგუმენტირებულ დასკვნებს წერილობითი და ვერბალური ფორმით, შესაბამისი ტერმინოლოგიის დაცვით, ქართულ და ინგლისურ ენაზე, სამიზნე აუდიტორიისათვის, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით; G. ინგლისური ენის/ლიტერატურის მიმართულებით, ახორციელებს საბაკალავრო ნაშრომს და წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად და სხვადასხვა წყაროდან მოიძიებს და კრიტიკულად იაზრებს/აანალიზებს ინფორმაციას/მასალას (თეორიული წყაროებისა თუ ინფორმაციული რესურსების ფართო სპექტრს); ხელმძღვანელის რეკომენდაციების შესაბამისად, ახორციელებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, ინგლისური ფილოლოგიის სექტორში

	პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	კურსდამთავრებული: H. იცავს როგორც ზოგად ასევე პროფესიულ ეთიკის ნორმებსა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრონციპებს და ავტონომიურად განსაზღვრავს ინგლისური ფილოლოგიის სფეროში შემდგომი სწავლისა და/ან მიღებული ცოდნის გაღრმავების /მუდმივად განახლების საჭიროებებს.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

240 ECTS (8 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 16 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2–სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).

დასაქმების სფერო

სწავლების პროცესში მიღებული სავალდებულო თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის გამომუშავებულ უნარ-ჩვევათა გათვალისწინებით, კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო, არასამთავრობო და საერთაშორისო სტრუქტურებში: საგანმანათლებლო და არასაგანმანათლებლო, კულტურის და საგამომცემლო დაწესებულებებში, აგრეთვე მედია საშუალებები საერთაშორისო ურთიერთობებისა და ბიზნესის სფეროებში. ეს შეიძლება იყოს: არქივი, მუზეუმი, ბიბლიოთეკა, ტურისტული კომპანია, მასმედია, საელჩო, ენათა ცენტრი.

საკონტაქტო პირი: სოფიო მორალიშვილი ტელ: +995 577272710; e-mail: sophiamoralishvili@sabauni.edu.ge
შორენა გოგიაშვილი ტელ: +995 592939999; e-mail: sh.gogiashvili@sabauni.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამა: საჯარო მმართველობა (Public Administration)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის ბაკალავრი (Bachelor of Public Administration)

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს:

- მისცეს ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული ფართო თეორიული ცოდნა საჯარო მმართველობის საფუძვლების, მოდელების, სისტემების, პრინციპებისა და ინსტიტუტების, საჯარო მმართველობის ფასეულობების, ღირებულებებისა და ეთიკური სტანდარტების, ძირითადი ტენდენციებისა და გამოწვევების, აგრეთვე საჯარო მმართველობასთან დაკავშირებული ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრის, საჯარო მმართველობის ინსტიტუციური, სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლების, ადმინისტრაციული ორგანოების ორგანიზაციული მოწყობისა და საქმიანობის ფორმების, შედეგზე ორიენტირებული მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისა და რეალიზაციისთვის საჭირო ინოვაციური მექანიზმებისა და ინსტრუმენტების, მათ შორის, ელექტრონული მმართველობის, შესახებ.
- შესძინოს საჯარო მმართველობასთან დაკავშირებით მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირების, კვლევის, ანალიზის და მათი გადაჭრის ტრადიციული და ინოვაციური გზების ძიების უნარი, მათ შორის, ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით ;
- განუვითაროს არგუმენტირებული მსჯელობის, დასკვნების ჩამოყალიბებისა და გაზიარების, საჯარო მმართველობასთან დაკავშირებული შედეგზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღებისას კონსტიტუციური წესრიგის, ადამიანის უფლებების, დემოკრატიული და კარგი მმართველობის (Good Governance) პრინციპების, ეთიკური და პროფესიული ნორმების დაცვის, აგრეთვე საჯარო მმართველობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე ხელმძღვანელის მითითებით მცირე მოცულობის კვლევის ჩატარების, კომუნიკაციის, ცოდნის მუდმივი განახლების უნარი.

სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

A. განიხილავს საჯარო მმართველობის საფუძვლებს, ძირითად მოდელებს, სისტემებს და ინსტიტუტებს, ადმინისტრაციული ორგანოების ორგანიზაციული მოწყობისა და საქმიანობის ფორმებს, საჯარო მმართველობის ძირითად ტენდენციებს და თანამედროვე გამოწვევებს, აგრეთვე მათი გადაწყვეტის საჭირო მექანიზმებს;
B. აცნობიერებს საჯარო მმართველობის ფასეულობებს, ღირებულებებს და ეთიკურ სტანდარტებს, საჯარო მმართველობის საზოგადოებრივ, სამართლებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ საფუძვლებსა და ძირითად პრინციპებს;
C. განმარტავს საჯარო ადმინისტრირების პროცესებს, ადმინისტრაციული წარმოების ძირითად ფორმებსა და ეტაპებს, ადამიანური რესურსებისა და საჯარო ფინანსების მართვის საფუძვლებს.
D. ახდენს საჯარო მმართველობასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას და კვლევის სათანადო მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის გზებს;
E. ადგენს საჯარო მმართველობასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დოკუმენტებს, შეიმუშავებს არგუმენტირებულ დასკვნებს და წარმოაჩენს შესაბამისი ფორმით, მათ შორის, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებების გამოყენებით;
F. მოიძიებს ინფორმაციას ქართულ და ინგლისურ ენაზე და ატარებს მცირე მოცულობის კვლევას ხელმძღვანელის მითითებით, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით.
G. იცავს კონსტიტუციური წესრიგის, ადამიანის უფლებების, დემოკრატიული და კარგი მმართველობის (Good Governance) პრინციპებს, ეთიკურ და პროფესიულ ნორმებს საჯარო მმართველობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების ინდივიდუალურად ან გუნდურად მიღებისას;
H. ორიენტირებულია საჯარო მმართველობის სფეროში სიახლეების მიდევნებასა და ცოდნის მუდმივად განახლებაზე.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

240 ECTS (8 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 16 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2–სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს, საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).

დასაქმების სფერო
საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (გარდა რეგულირებადი პროფესიების ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა) და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები. საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს: ● ადმინისტრაციულ თანამდებობებზე საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში; ● სახელმწიფო მაკონტროლებელ ორგანოებში; ● საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებში ან სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში.

საკონტაქტო პირი: გიორგი გორაძე ტელ: +995 577 22 26 16 ; e-mail: g.goradze@sabauni.edu.ge;
ლიანა გიორგაძე: ტელ: +995 5 93 96 98 08 ; e-mail: l.giorgadze@sabauni.edu.ge

სამაგისტრო პროგრამები

საგანმანათლებლო პროგრამა: თეოლოგია (Theology)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი თეოლოგიაში Master of Arts (MA) – Theology

სწავლების საფეხური: მაგისტრატურას

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი
• გაეცნოს ეკლესიის ოფიციალურ პოზიციას სოციალურ საკითხებთან მიმართებით; სოციალური სწავლების ბიბლიურ საფუძველს და ისტორიულ განვითარებას; ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის მოდელებს. გააცნობიეროს ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთქმედების შედეგები, რის საფუძველზეც შეძლებს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის რელევანტური პრობლემატკის იდენტიფიცირებას, ეკლესიის სოციალური მოძღვრების იმპლემენტაციას; • ღრმად შეისწავლოს ღვთაებრივი გამომხსნელობითი განგებულების მართლმადიდებლური კონცეფცია პროტესტანტიზმის სოტერიოლოგიურ ტრადიციასთან შედარების კონტექსტში; შეისწავლოს გამოცხადებისა და თეოლოგიური ენის ურთიერთმიმართება და საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების ისტორია და სპეციფიკა. გაეცნოს მთავარ ტრინიტარულ კონცეფციებს და მათი ჩამოყალიბების ისტორიული კონტექსტს; • იცოდეს თანამედროვე ქრისტიანული ღვთისმეტყველების უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლები და მათი კონცეფციები; • სიღრმისეულად გააანალიზოს სხვადასხვა თეოლოგიური პრობლემა და აკადემიური წერის ტექნიკის საშუალებით,შეძლოს თეოლოგიურ საკითხებზე აკადემიური კვლევის დაგეგმვა და განხორციელება.

სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	კურსდამთავრებულს ეცოდინება/გაცნობიერებული ექნება: A. თანამედროვე ქრისტიან ღვთისმეტყველთა შეხედულებები და ქრისტიანული ღვთისმეტყველების უახლესი ძირითადი მიმართულებები, მათი დამოკიდებულება როგორც რელიგიურ, ისე სეკულარულ პრობლემატიკასთან, მეცნიერებასთან, კულტურასთან, სხვა აღმსარებლობებსა და რელიგიებთან, რის საფუძველზეც ავითარებს სფეროს ორიგინალურ იდეებს; B. ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები, ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის ისტორიული გამოცდილება და თანამედროვე მდგომარეობა;ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთქმედების შედეგები; ეკლესიის სოციალური სწავლების ისეთი კატეგორიების მნიშვნელობა, როგორებიცაა ადამიანის ღირსება, საერთო კეთილდღეობა, სუბსიდიარობა და სოლიდარობა; ადამიანის, როგორც საზოგადოების წევრის მოვალეობანი და უფლებები ეკლესიის პოზიციის შუქზე; C. ეკლესიის დოგმატური მოძღვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების - ტრინიტოლოგიისა და სოტეროლოგიის სიღრმისეული ასპექტები: ჰერმენევტიკა,ინტერკონფესიური, მართლმადიდებლური და კათოლიკური მიდგომები.
უნარი	კურსდამთავრებული შეძლებს: D. დააკავშიროს ეკლესიის დოკუმენტებში გადმოცემული შეხედულებანი თანამედროვეობაში არსებულ სოციალურ პრობლემებთან; ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის კონკრეტული მოდელის იდენტიფიცირებას, მის დადებით და უარყოფით მხარეებზე მსჯელობას; საჯარო ორგანოების, თანამდებობის პირთა ქმედებების საკონსტიტუციო პრინციპებისა და სეკულარიზმის პოლიტიკურ-სამართლებრივი კონცეფციის შესაბამისად შეფასებას; E. კონფესიათა შორის დიალოგში მონაწილეობას, დასახოს ეკუმენური საქმიანობის ფორმები და პერსპექტივები; რელევანტურ რელიგიურ პრობლემატიკაზე კონცენტრაციით სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებთან კომუნიკაციას; სასწავლო, სამეცნიერო ლიტერატურის მოძიებას და შერჩევას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; განსახილველი თემისა თუ საკითხისადმი მეთოდური მიდგომას, სხვადასხვა წყაროს საფუძველზე საჭირო ინფორმაციის დაგროვებას, მათ

	სისტემატიზაციასა და ერთიანობაში მოყვანას, აკადემიური წერის ტექნიკის საშუალებით კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვასა და შესრულებას; F. ინტერდისციპლინურ კომუნიკაციას; მნიშვნელოვანი სოციალური, მსოფლმხედველობრივი და სამართლებრივი პრობლემების განხილვისას სხვა მეცნიერული დარგების სპეციალისტებთან ინტერდისციპლინურ დიალოგში ჩაბმას; ამ რელევანტური პრობლემატიკის თეოლოგიური ხედვების დისკუსიაში მონაწილე მხარეებისთვის გასაგები აკადემიური, ტერმინოლოგიური ფორმითგადაცემას, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობების გათვალისწინებით; G. თეოლოგიის მიმართულებით მიღებული ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე დარგის უახლესი მიღწევების კრიტიკულად შეფასებას, ორიგინალური იდეების შემუშავებასა და მათ შემდგომ განვითარებას.
პასუხისმგებლობადა ავტონომიურობა	კურსდამთავრებული შეძლებს: H. საღვთისმეტყველო წყაროების, სტატიების და მონოგრაფიების საფუძველზე საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვას, უწყვეტ განათლებასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღებას; დარგობრივი ცოდნის ცალკეული ასპექტების განვითარებაში წვლილის შეტანას. I. პიროვნებათაშორისი ურთიერთობების და ეთიკური ასპექტების, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის თავისებურებების, საზოგადოების წევრების განსხვავებული ეთნიკური, კულტურული, სოციალური და სხვ. ღირებულებების გააზრებას და გათვალისწინებას, მათ აღიარებას და პატივისცემას. ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობების კომპლექსური, მულტიდისციპლინარული პრობლემების სათანადოდ გააზრებას.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით
120 ECTS (4 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 16 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2–სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს, საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).

პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო
კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო სექტორის დაწესებულებებში, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, სამეცნიერო და კვლევით დაწესებულებებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, საგამომცემლო დაწესებულებებში, რელიგიურ ორგანიზაციებში, და სხვ., სადაც მოითხოვება/საკმარისია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრის თეოლოგიაში აკადემიური ხარისხი.

საკონტაქტო პირი: ვაჟა ვარდიძე ტელ: +995 599 76 51 46; e-mail: v.vardidze@sabauni.edu.ge.

საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალი (LAW)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის მაგისტრი (Master of Law)

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

სწავლების ენა: ქართული ინგლისურენოვანი კომპონენტებით

პროგრამის მიზანი

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

- თანამედროვე სამართლის სისტემური და შედარებითსამართლებრივი არგუმენტაციის ჭრილში, შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში და გამოუმუშავოს შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- გამოუმუშავოს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში საკუთარი კომპლექსური და ორიგინალური სამართლებრივი დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
- გამოუმუშავოს აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისათვის საკუთარი სამართლებრივი დასკვნებისა და არგუმენტების გაზიარების უნარი;
- გამოუმუშავოს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვისა და სამეცნიერო კვლევის უნარი;
- გამოუმუშავოს სამართლებრივ-ეთიკური ღირებულებების ფორმირების უნარი.

სწავლის შედეგები
სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: (A) იცნობს სიღრმისეულად კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროს აქტუალურ და პრობლემურ საკითხებს, იაზრებს ადამიანის ძირითადი უფლებების გამოწვევებსა და მათი დაცვის მექანიზმებს, ხელოვნური ინტელექტისა და სამართლის ტექნოლოგიების (Legal-Tech) ძირითად ტენდენციებს, სამართლებრივი დასაბუთების კლასიკურ და არასტანდარტულ მიდგომებს; (B) ახდენს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის საფუძველზე არსებული სამართლებრივი პრობლემებისა და რთული შემთხვევების კომპლექსურ შეფასებას, ფორმულირებას და თანამედროვე სამართლებრივი აზროვნების სისტემის არგუმენტაციის ჭრილში, განმარტების კლასიკური და არასტანდარტული მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის საუკეთესო გზებს; (C) აანალიზებს ეროვნულ, საერთაშორისო და სხვა სახელმწიფოთა საკანონმდებლო ნოვაციებს, თანამედროვე სასამართლო პრაქტიკას, შედარებითი სამართლის პრობლემატიკას, ევროპული სამართლის სისტემურ გავლენას ქართულ სამართალზე, ასევე მეცნიერულ სიახლეებს და თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზის საფუძველზე აყალიბებს საკუთარ კომპლექსურ და ორიგინალურ სამართლებრივ დასკვნებს; (D) მსჯელობს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი სამართლებრივი დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტების გათვალისწინებით, წერილობითი და ზეპირი ფორმით, ადგენს სხვადასხვა სირთულის იურიდიულ და საპროცესო დოკუმენტს, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე გამოსაყენებლად; (E) ახდენს პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზითა და ინტერპრეტირებით სამეცნიერო-კვლევითი პროცესის დაგეგმვას, აგროვებს პირველად მონაცემებს შესაბამისი კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენებით, ამოიცნობს სამეცნიერო კვლევის შესრულებისთვის საჭირო სამართლებრივი კვლევის მეთოდებს, შეიმუშავებს სამეცნიერო-კვლევით პროექტს; (F) აანალიზებს იურიდიული პროფესიების ეთიკურ, ზნეობრივ და მორალურ ასპექტებს, სამეცნიერო კვლევების ეთიკურ შედეგებს და, საჭიროების შემთხვევაში, მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით
სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 2 წელს ანუ 4 სემესტრს შეადგენს. სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლებიან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო
სამართლის მაგისტრი მომზადებულია სამართლის სფეროში მაღალი რანგის იურიდიული პრაქტიკის განსახორციელებლად და სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად. შესაბამისად, სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ეძლევა იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის მაგისტრის ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.

საკონტაქტო პირი: დიმიტრი გეგენავა ტელ: +995 577233847; e-mail: d.gegenava@sabauni.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (Business Administration)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი (Master of Business Administration)

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

სწავლების ენა: ქართული (ინგლისურენოვანი კომპონენტებით)

პროგრამის მიზანი
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, მიზნად ისახავს თანამედროვე თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის მქონე, კონკურენტუნარიანი, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე გამიზნული მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადებას, რომელიც შეძენილი თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარებით, განვითარებული ინოვაციური ხედვებით შეძლებს ბიზნესში რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას, პროგრესული მოდელების და ინოვაციების დანერგვას; ინკლუზიური კეთილდღეობის ზრდაში მონაწილეობას. ➢ სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე კვალიფიციური სპეციალისტი, აღჭურვილი ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნით, რომელიც M1. კრიტიკულად იაზრებს ბიზნესის მართვის თეორიულ მიდგომებს და მმართველობითი საქმიანობის სფეროს უახლეს მიღწევებს; ამასთან, იძიებს და განავითრებს ახალ, ორიგინალურ იდეებს მართვის ეფექტიანობის ასამაღლებლად; M2. თავისუფლად ორიენტირდება სწარაფადცვალებად ბიზნესგარემოში, მათ შორის რთული ან არასრული ინფორმაციის პირობებში; კომპლექსური პრობლემების გადასაწყვეტად, მართვის ეფექტიანობის ასამაღლებლად აანალიზებს ბიზნესის შიდა და გარე ფაქტორებს, განვითარების შესაძლებლობებს და იღებს გადაწყვეტილებას; M3. ფართო კვლევითი ინსტრუმეტარიუმით ინფორმაციის კრიტიკული ანალიზისა და ინოვაციური სინთეზის; რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე იღებს სტრატეგიულ გადაწყვეტილებას ეფექტიანი ბიზნესის წარმართვისთვის; M4. ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ამასთან, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით და არგუმენტებს და დასკვნებს წარადგენს როგორც აკადემიური, ასევე, პროფესიული საზოგადოების წინაშე აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით; M5. აფასებს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობისა და ბიზნესეთიკის ნორმების დაცვის აუცილებლობას ბიზნესის წარმატებისა და საზოგადოების განვითარებისთვის.

M6. ბიზნესის მართვის პროფესიულ ცოდნასა და პრაქტიკას ავითარებს საკუთრი წვლილით; ასევე, კომპლექსურ, არაპროგნოზირებად, მულტიდისციპლინურ სასწავლო და სამუშაო გარემოს მართვასა და ადაპტირებას ახორციელებს ინოვაციური სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით; M7. დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარ სწავლას და სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე იღებს პასუხისმგებლობას.

სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	კურსდამთავრებულს: 1.1. აქვს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნა, რომელიც მოიცავს მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციების და სტრატეგიული მენეჯმენტის, მენეჯერული ეკონომიკის, ბიზნესის სტატისტიკის, მეწარმეობისა და ინოვაციების მენეჯმენტის, ბიზნესგარემოს და ბაზრების, სტრატეგიული მარკეტინგმენეჯმენტის, სტრატეგიული კომუნიკაციების, ღირებულებების ჯაჭვის მართვის, ორგანიზაციული ცვლილებების, ადამიანური რესურსების მართვის, პროექტმენეჯმენტის, მმართველობითი აღრიცხვის, ფინანსური მენეჯმენტის, ბიზნესის ეთიკის და სხვა მიმართულებებს; 1.2. ბიზნესის ეფექტიანი ადმინისტრირებისათვის აცნობიერებს მმართველობითი საქმიანობის სფეროს უახლესი მიღწევების კრიტიკულად გააზრების და ინოვაციური, ორიგინალური იდეების განვითარების საჭიროებას; 1.3. აცნობიერებს პასუხისმგებლობის აღების საჭიროებას და ვალდებულებას ბიზნესის ადმინისტრირების პროცესში.
უნარი	კურსდამთავრებული: 2.1. თავისუფლად ორიენტირდება სწარაფადცვალებად ბიზნესგარემოში, მათ შორის რთული ან არასრულიინფორმაციის პირობებში; 2.2. ბიზნესის ადმინისტრირების რთული პრობლემების გადასაწყვეტად იძიებს და იყენებს ახალ, ორიგინალური იდეებს; ინფორმაციის კრიტიკული ანალიზისა და ინოვაციური სინთეზის საფუძველზე აფასებსკონკრეტულ ბიზნესსიტუაციას და იღებს ადეკვატურ სტრატეგიულ გადაწყვეტილებას; 2.3. დამოუკიდებლად, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით ახორციელებს კვლევას ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში;

	2.4. ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში არგუმენტირებულად მსჯელობს და წარადგენს კვლევის შედეგებს და დასკვნებს აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით; 2.5. აფასებს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობისა და ბიზნესეთიკის ნორმების დაცვის აუცილებლობას ბიზნესის წარმატებისა და საზოგადოების განვითარებისთვის.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	კურსდამთავრებულს: 3.1. საკუთარი წვლილი შეაქვს ბიზნესის ადმინისტრირების პროფესიულ ცოდნასა და პრაქტიკაში შეძენილიცოდნის ინოვაციური სინთეზით და პრაქტიკული ქმედებით; 3.2. ბიზნესის ადმინისტრირების თეორიულ ცოდნას იყენებს კომპლექსური, არაპროგნოზირებადი, მულტიდისციპლინურ სასწავლო და სამუშაო გარემოს მართვაში და ინოვაციური სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით ახორციელებს ადაპტირებას; 3.3. შეუძლია დამოუკიდებლად წარმართოს საკუთარი სწავლის პროცესი უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის და ამასთან, აიღოს პასუხისმგებლობა სხვების პროფესიულ განვითარებაზე და მათ საქმიანობაზე.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით
120 ECTS (4 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 16 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2 სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს, საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).

დასაქმების სფერო
ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ღრმა და სისტემური კომპეტენციებით და კვლევის უნარებით აღჭურვილი ბიზნესის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ბიზნესის ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ორგანიზაციაში, არასამთავრობო ორგანიზაციასა და გაერთიანებაში საშუალო და ზედა რგოლის მენეჯერად, ექსპერტად და ანალიტიკოსად. სწავლის პერიოდში მიღებული ცოდნა, განსაკუთრებით პასუხისმგებლობის გაცნობიერება და განვითარებული უნარები მას, ასევე, მისცემს შესაძლებლობას, რელევანტურად დასაქმდეს სახელმწიფო ორგანიზაციაში.

საკონტაქტო პირი: ნინო პაპაჩაშვილი ტელ: 577 37 93 89; 568 22 66 48; e-mail: n.papachashvili@sabauni.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამა: საჯარო მმართველობა (Public Administration)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის მაგისტრი (Master of Public Administration)

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს:

- შესძინოს მულტიდისციპლინური, ღრმა და სისტემური ცოდნა საჯარო მმართველობის, მისი საკონსტიტუციო რეგულირების, თანამედროვე კონცეფციების, საჯარო მმართველობის განხორციელების სამართლებრივი ინსტრუმენტების, საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების მართვის, საჯარო ფინანსების მართვის, საჯარო დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის, ასევე პოლიტიკისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდების შესახებ;
- შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა საქართველოს სახელმწიფო მოწყობის, ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების, საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის ეროვნული და რეგიონული მნიშვნელობის, ასევე ევროკავშირის, როგორც ორგანიზაციის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპების შესახებ;
- ჩამოაყალიბოს მაღალი ეთიკური ღირებულებებისა და სტანდარტების მქონე პროფესიონალი და კეთილსინდისიერი საჯარო მმართველები და მოსამსახურეები, რომელთაც შეეძლებათ ხელი შეუწყონ საჯარო მმართველობის სისტემის ეფექტურ მუშაობას, ინოვაციური მიდგომების გამოყენებით მონაწილეობა მიიღონ მის მდგრად განვითარებაში;
- შესძინოს, საჯარო მმართველობის პრობლემების სიღრმისეული ანალიზისა და გადაწყვეტის მიზნით, აკადემიური წერის ტექნიკისა და კვლევის სათანადო მეთოდების გამოყენებით, აკადემიური კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი.

სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	კურსდამთავრებული: (A) სისტემურად აღწერს საჯარო მმართველობის პრინციპებს, კონცეფციებსა და ფუნქციებს, საჯარო მმართველობის საკონსტიტუციო რეგულირებასა და მისი განხორციელების სამართლებრივ ინსტრუმენტებს, საჯარო მმართველობის სფეროში გადაწყვეტილების მიღების წესსა და პროცესს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებს, პრინციპებს და საჯარო ორგანოს საქმიანობის ძირითად ფორმებს, საჯარო ფინანსების მართვის მექანიზმებს, საჯარო დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის თანამედროვე მოდელებს, კრიტიკულად იაზრებს საჯარო მმართველობისა და სამოხელეო სამართლის სფეროში არსებულ კომპლექსურ პრობლემებს; (B) ფლობს სისტემურ ცოდნას საქართველოს სახელმწიფო მოწყობის ძირითადი ასპექტების, საქართველოს სახელმწიფო ორგანოების საკონსტიტუციო სტატუსისა და უფლება-მოვალეობების, ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურის, ფუნქციებისა და მისი ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიმართების, საქართველოს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების, საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ძირითადი ასპექტებისა და აქტუალური პრობლემების შესახებ. (C)კომპლექსურად აფასებს საჯარო მმართველობის პრობლემურ საკითხებს და განსაზღვრავს მათი გადაწყვეტის ოპტიმალურ გზებს, გამოავლენს საჯარო სამსახურში არაეთიკურ ქმედებებსა და ახდენს მათი ჩამდენი პირების იდენტიფიცირებას და იცავს საჯარო სამსახურის ინტერესებს ეთიკური გარემოს უზრუნველყოფის მიზნით. დამოუკიდებლად აფასებს რისკ-ფაქტორებს და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით ახდენს მათ შეფასებას, ანალიზს და აყალიბებს რეაგირების მექანიზმებს. კრიტიკულად აანალიზებს საჯარო ფინანსების სისტემის თავისებურებებს და ეძებს ბიუჯეტების რეალიზების ეფექტურ საშუალებებს;

უნარი	(D) აანალიზებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის პროცესსა და მის თანმდევ შედეგებს, სწორად განსაზღვრავს ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის დანიშნულებას უკეთესი საჯარო მმართველობის სისტემის უზრუნველსაყოფად;
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	(E) ადგენს სხვადასხვა ადმინისტრაციულ აქტს, შეიმუშავებს სტრატეგიული მართვისა და პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტებს, გეგმავს და მონაწილეობას იღებს საჯარო მმართველობის სფეროში კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად კანონმდებლობით განსაზღვრულ წარმოებაში, განსაზღვრავს საზოგადოებასთან ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის ინსტრუმენტებს, ასევე, აკადემიური წერის ტექნიკის საშუალებით საჯარო მმართველობის სფეროში დამოუკიდებლად გეგმავს და ასრულებს კვლევას (F)იყენებს მიღებულ ცოდნას ყოველდღიურ პროცესებში და დამოუკიდებლად იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს საჯარო სამსახურში, საჯარო სამსახურის ღირებულებების, პრინციპებისა და ეთიკის ზოგადი წესების დაცვით; (G)საკუთარი პროფესიული ცოდნის გამოყენებით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს დემოკრატიული სახელმწიფოს „კარგი მმართველობის“ სისტემის ჩამოყალიბებასა და მის სამომავლო განვითარებაში, კონსტიტუციური წესრიგისა და ადამიანის ძირითადი უფლებების გათვალისწინებით.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით
სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 2 წელს ანუ 4 სემესტრს შეადგენს. სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო
კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებაში - სამინისტროში, სსიპში, სსდ- ში, სხვა სამთავრობო ორგანიზაციაში, ნებისმიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში, როგორც მაღალი,ისე საშუალო და დაბალი რანგის ნებისმიერი პოზიციაზე/თანამდებობაზე, ასევე, სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებში, არასამათავრობო ორგანიზაციებში, რომელთა საქმიანობა რაიმე სახით დაკავშირებულია საჯარო მმართველობის კვლევასა და განვითარებასთან.

საკონტაქტო პირი: გიორგი გორაძე ტელ: +995 577 22 26 16 ; e-mail: g.goradze@sabauni.edu.ge

ლიანა გიორგაძე ტელ: +995 5 93 96 98 08 ; e-mail: l.giorgadze@sabauni.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამა: ადამიანური რესურსების მართვა (Human Resource Management)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ადამიანური რესურსების მართვის მაგისტრი (Master of Human Resource Management)

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

სწავლების ენა: ქართული (ინგლისურენოვანი კომპონენტებით)

პროგრამის მიზანი

ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

A. პრობლემაზე დაფუძნებული ცოდნის მქონე, კონკურენტუნარიანი, ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებზე გათვლილი კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელიც საკუთარ წვლილს შეიტანს განათლებული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და ქვეყნის სამომავლო განვითარებაში;
B. კურსდამთავრებულმა განსაზღვროს საკადრო მენეჯმენტის პრიორიტეტები ორგანიზაციის კორპორაციულ ინტერესებთან კორელაციაში; რისკების, დანახარჯებისა და სარგებლის გათვალისწინებით შეიმუშაოს მიზანმიმართული სამოქმედო სტრატეგია და საკადრო პოლიტიკა; მოახდინოს ადამიანური რესურსის ქცევის გუნდური და ინდივიდუალური მოტივატორების იდენტიფიცირება, გამოავლინოს შრომითი განწყობები და სამუშაო სტრესის ფსიქო-სოციალური რისკები ორგანიზაციაში, შეიმუშაოს ქცევის პროგნოზირების ტექნიკა და განახორციელოს ადამიანური რესურსების მართვის სრული ციკლი;
C. დამოუკიდებლად დაგეგმოს და კონკრეტულ ორგანიზაციულ ქცევაზე დაკვირვებით წარმართოს პრაქტიკული კვლევა ადამიანური რესურსების მართვის სფეროში, მიღებულ და გაანალიზებულ შედეგებზე დაყრდნობით კი დასაბუთებული დასკვნები წარადგინოს და იმსჯელოს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან;
D. ფოკუსირდეს ორგანიზაციული კულტურის ისეთი სისტემის შექმნაზე, რომელიც ხელს უწყობს, ერთი მხრივ, დაწესებულების უწყვეტ განვითარებასა და წარმატებას, მეორე მხრივ, თანამშრომლებისთვის სამართლიანი და ჯანსაღი გარემოს შექმნას, მათ პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას სწრაფადცვალებად, კომპლექსურ, მულტიდისციპლინურ გარემოში.

სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	კურსდამთავრებული: 1.1. ფლობს პრობლემაზე დაფუძნებულ ცოდნას საკადრო პოლიტიკის დაგეგმვის, პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, შენარჩუნებისა და მოტივირების, შრომის ანაზღაურებისა და კომპენსაციების განსაზღვრის, შრომის სამართლისა და შრომის უსაფრთხო პირობების ორგანიზების, დასაქმებისა და შრომის ბაზრის პოლიტიკის, შესრულებული სამუშაოს შეფასებისა და პროფესიული განვითარების, მომავლის პროფესიების განსაზღვრის მექანიზმების, დასაქმების ბრენდინგის, თანამედროვე შრომის ბაზარზე Gen-Z თაობის ქცევის პროგნოზირებისა და ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში ტალანტების მართვის სისტემის მიმართულებით; აცნობიერებს სტრატეგიული კომუნიკაციის, სამუშაო სტრესის ფსიქო-სოციალური რისკების მართვის, სოციალური პასუხისმგებლობის, ლიდერობის თეორიების და მენტორული ურთიერთობების თავისებურებებს როგორც ორგანიზაციის სტრატეგიულ ინტერესებთან პერსონალის კერძო სტიმულების თავსებადობის, ასევე ორგანიზაციის განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივის რეალიზაციის პროცესში.
უნარი	კურსდამთავრებული: 2.1. ნდობაზე დამყარებული ურთიერთობებისა და ორგანიზაციული კულტურის დამკვიდრების მიზნით, ადამიანური რესურსების მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციების, ინფორმაციის კრიტიკული ანალიზისა და ინოვაციური სინთეზის საფუძველზე აფასებს კონკრეტულ ორგანიზაციულ სიტუაციას, ახდენს არსებული პრობლემების და რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირებას, ეძებს მათი დაძლევის ინოვაციურ გზებსა და გეგმავს საპასუხო ცვლილებებს, შეიმუშავებს კომპანიის კულტურასა და ძირეულ ფასეულობებთან ბუნებრივად თავსებად საკადრო პოლიტიკას და იღებს შესაბამის სტრატეგიულ გადაწყვეტილებს; 2.2 ორგანიზაციის და თანამშრომელთა საერთო ინტერესებიდან გამომდინარე აყალიბებს ორგანიზაციულ კულტურასა და პერსონალის რეკრუტინგის თანამედროვე სისტემას, ქმნის სტრატეგიას თანამშრომელთა შენარჩუნებისა და პროფესიული ზრდის, ასევე, ტალანტების მოზიდვისა და იდენტიფიცირების მიზნით, აფასებს დანახარჯისა და სარგებლის გათვალისწინებით სამუშაოს შესრულების ეფექტიანობას; მუშაობს გუნდურობის პრინციპით, რაციონალურად ანაწილებს დროსა და დავალებებს ჯგუფში, აფასებს გუნდური მუშაობის წვლილსა და წახალისების სისტემას ორგანიზაციის წარმატებული ფუნქციონირებისათვის, ავლენს შრომით განწყობებს და ითვალისწინებს სამუშაო სტრესის ფსიქო-სოციალური რისკების შედეგებს;

	2.3. კრიტიკულად აანალიზებს და აფასებს შრომით ურთიერთობებში არსებული საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის პერსპექტივას და მიზანშეწონილობას, ადგენს შრომითსამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ და ინდივიდუალურ დოკუმენტებსა და სამუშაო აღწერილობებს; 2.4. ადამიანური რესურსების მართვის სფეროში დამოუკიდებლად გეგმავს და კონკრეტულ პროცესზე დაკვირვებით წარმართავს პრაქტიკულ კვლევას უახლესი მეთოდებისა და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით; დასაბუთებულად მსჯელობს ადამიანური რესურსების მართვის აქტუალურ პრობლემებზე, აყალიბებს კვლევის შედეგებსა და დასკვნებს, რომელთაც წარუდგენს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით, აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვითა და თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	კურსდამთავრებული: 3.1. ადამიანური რესურსების მენეჯმენტში მიღებული კომპეტენციების გათვალისწინებით და ინოვაციური სტრატეგიული მიდგომების პრაქტიკაში დანერგვით განახორციელებს კომპლექსურ, მულტიდისციპლინურ, ცვალებად ორგანიზაციულ გარემოსთან ადაპტირებას, ასევე, უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარი და თანამშრომლების შესაძლებლობების შეფასებასა და განვითარების პროცესს, კეთილსინდისიერების, ეთიკურობისა და კოლეგიალობის პრინციპების დაცვით; 3.2. კარიერული მართვის სისტემების შემუშავებისა და განხორციელების მეშვეობით იღებს პასუხისმგებლობას გუნდის წევრების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე, ითვალისწინებს სოციალურ პასუხისმგებლობას ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების დაგეგმვისა და რეალიზაციის პროცესში.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით
120 ECTS (4 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 16 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2 სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს, საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).

პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო
სწავლის პერიოდში მიღებული ცოდნა, პასუხისმგებლობის გაცნობიერება და განვითარებული უნარებიკურსდამთავრებულს მისცემს შესაძლებლობას, დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო კომპანიებში, საჯაროსამსახურში, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში, ადამიანური რესურსების მართვის ანდასაქმების ხელშეწყობის სამსახურების სპეციალისტად ან საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერად, კონსულტანტად და ანალიტიკოსად.

საკონტაქტო პირი: ნათია ჭელიძე ტელ: + 995 599588118; e-mail: n.chelidze@sabauni.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამა: აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება (Eastern Europe Foreign Policy and Security)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი (Master of Political Science)

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი
სამაგისტრო პროგრამა "აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება" მიზნად ისახავს : 1. აღჭურვოს კურსდამთავრებული აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოებისა და გეოპოლიტიკური გამოწვევების ყოვლისმომცველი, ღრმა და სისტემური ცოდნით. 2. განუვითაროს კურსდამთავრებულს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საგარეო და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის და სტრატეგიების ფორმირებაზე გავლენის მქონე ისტორიული, სოციალური, ეკონომიკური და გეოპოლიტიკური დინამიკის კვლევის და კრიტიკული ანალიზის უნარები. 3. უზრუნველყოს კურსდამთავრებული კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარებით, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით და თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, საგარეო და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმულირების და აღსრულების პროცესების მხარდასაჭერად, უსაფრთხოების მიმდინარე და განვითარებად საფრთხეებზე ფოკუსირებით. 4. კურსდამთავრებულმა შეიტანოს წვლილი აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების სფეროში პროფესიული ცოდნის და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკის განვითარებაში.

სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	კურსდამთავრებული: (A) ახდენს აღმოსავლეთ ევროპის წინაშე არსებული გეოპოლიტიკური და უსაფრთხოების გამოწვევების, მათ შორის რუსეთის გავლენის, ნატოს როლის და სხვა რეგიონალური და საერთაშორისო აქტორების სიღმისეული ცოდნის დემონსტრირებას. (B) კრიტიკულად იაზრებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ სისტემებს, ეკონომიკურ და საგარეო პოლიტიკას, მათ შორის ისტორიული და თანამედროვე მოვლენების მნიშვნელობას და გავლენას. (C) აცნობიერებს უსაფრთხოების თანამედროვე აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა სამხედრო მზადყოფნა, კიბერუსაფრთხოების საფრთხეები, ჰიბრიდული ომი და რეგიონული ალიანსების როლი რეგიონის უსაფრთხოების ლანდშაფტის ფორმირებაში. (D) აცნობიერებს აღმოსავლეთ ევროპის გლობალურ ინსტიტუტებთან ინტეგრაციის პროცესს და ამ ალიანსების გავლენას რეგიონის საგარეო პოლიტიკასა და უსაფრთხოების დინამიკაზე.

უნარი	კურსდამთავრებული: (E) იყენებს კრიტიკულ აზროვნებას და ანალიტიკურ უნარებს, აღმოსავლეთ ევროპაში პოლიტიკური, ეკონომიკური, უსაფრთხოებისა და სამხედრო მოვლენების შესაფასებლად ინტერდისციპლინარული მიდგომების გამოყენებით, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ მეცნიერებას, უსაფრთხოების და თავდაცვის კვლევებს და კიბერუსაფრთხოებას. (F) დამოუკიდებლად ატარებს აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების პრობლემური საკითხების სიღრმისეულ კვლევას, აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით და თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, აყალიბებს ეფექტიან სტრატეგიულ მოსაზრებებს და პოლიტიკის რეკომენდაციებს. (G) კრიტიკულად აანალიზებს უსაფრთხოების დინამიკას აღმოსავლეთ ევროპაში, აფასებს სამხედრო მზადყოფნას, კიბერუსაფრთხოების საფრთხეებს და ჰიბრიდული ომის სტრატეგიებს, აყალიბებს და სთავაზობს პრაქტიკულ გადაწყვეტილებებს რეგიონში არსებული და განვითარებადი უსაფრთხოების გამოწვევების მოსაგვარებლად. (H) ახდენს საკუთარი დასკვნების, კვლევის შედეგების და არგუმენტების წარდგენას როგორც წერილობით, ასევე ზეპირად ფართო აუდიტორიისათვის, მათ შორის პოლიტიკის შემქმნელებისათვის, აკადემიური წრეებისათვის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	კურსდამთავრებულს: (I) შეაქვს წვლილი აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების სფეროში პროფესიული ცოდნის და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკის განვითარებაში, რეგიონის უნიკალური გამოწვევების და სირთულეების გადასაჭრელად. (J) დამოუკიდებლად გეგმავს და წარმართავს საკუთარი სწავლის პროცესს საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების კვლევების მიმართულებით.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით
სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 2 წელს ანუ 4 სემესტრს შეადგენს. სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო
პროგრამა ამზადებს კურსდამთავრებულს კარიერისთვის დიპლომატიურ, საერთაშორისო, სამეცნიერო-კვლევით, სადაზვერვო, უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროებში და არასამთავრობო ორგანიზაციებში. პრაქტიკულ უნარებზე ორიენტირებით, პროგრამის კურსდამთავრებული იქნება კარგად აღჭურვილი, რათა ეფექტიანად ჩაერთოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების, დაგეგმვის, კვლევის და ანალიზის პროცესებში. პროგრამა ხაზს უსვამს კვლევას, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს ჩაატაროს სიღრმისეული კვლევები აღმოსავლეთ ევროპის მთავარ პოლიტიკურ, უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებზე. ძლიერი კვლევითი ბაზა იდეალურია კურსდამთავრებულისთვის, რომლის მიზანია აკადემიური კარიერა ან პოლიტიკის ანალიზის როლები მთავრობასა და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

საკონტაქტო პირი: ივანე ოქრომჭედლიშვილი ტელ: +995 577193999; e-mail: i.oqromchedlishvili@sabauni.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამა: ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგია (Child and Adolescent Psychology)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის მაგისტრი (Master of Child and Adolescent Psychology)

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი

ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს:

1. შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ბიო-ფსიქო-სოციალური ასპექტების, განვითარებაზე მოქმედი რისკ-ფაქტორების და მხარდამჭერი სისტემების შესახებ.
2. შესძინოს მულტიდისციპლინური ცოდნა და უნარები ბავშვთა და მოზარდთა შეფასების, კონსულტირების, მტკიცებულებაზე დაფუძნებული ინტერვენციისა და პრევენციული მხარდაჭერის თანამედროვე მიდგომების, მათი მიკროსისტემის მნიშვნელოვან წევრებთან თანამშრომლობის პრინციპების შესახებ, რაც უზრუნველყოფს სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვთა კეთილდღეობას.
3. შესძინოს, ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის გამოწვევების სიღრმისეული ანალიზისა და გადაწყვეტის მიზნით, პროფესიული ზეპირსიტყვიერი და წერილობითი კომუნიკაციის წარმოების უნარებისა და კვლევის სათანადო მეთოდების გამოყენებით, აკადემიური კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი.
4. ჩამოუყალიბოს მაღალი ეთიკური ღირებულებები და პროფესიული პრაქტიკის პრინციპები, რომელთა საფუძველზე შეძლებს შემთხვევების მართვას და ინტერდისციპლინურ გუნდში მუშაობას საჯარო, არასამთავრობო და კერძო სექტორში, კულტურული მგრძნობელობის, სოციალური სამართლიანობისა და განსხვავებულობის პატივისცემაზე დაფუძნებული მიდგომების გათვალისწინებით.

სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	კურსდამთავრებული: A. **ფლობს** კომპლექსურ ცოდნას ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ბიო-ფსიქო-სოციალური ასპექტების, განვითარებაზე მოქმედი რისკ ფაქტორების და არსებული მხარდამჭერი შესაძლებლობების შესახებ მათი პროფესიული იდენტობის პერსპექტივიდან. B. ჰოლისტურად **განიხილავს** ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სრულ ციკლს და თანამედროვე მიდგომებს, მათ მეთოდოლოგიურ საფუძვლებს და გამოყენების სპეციფიკას ინდივიდუალურ და ჯგუფურ ფორმატში; C. კომპლექსურად **იაზრებს** ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის სფეროს კვლევის მეთოდოლოგიას და თავისებურებებს.
უნარი	კურსდამთავრებული: D. **გეგმავს** და ახორციელებს სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვთა ფსიქოლოგიურ შეფასებას, აანალიზებს შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს; ეკლექტური მიდგომით წარმართავს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ კონსულტირებასა და თერაპიულ ინტერვენციას. E. **აწარმოებს** ეთიკურ პროფესიულ ზეპირსიტყვიერ და წერილობით კომუნიკაციას ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასების, კონსულტირების და ინტერვენციის პროცესში: თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირებით ადგენს პროფესიულ დოკუმენტაციას და ინტერდისციპლინური მიდგომით თანამშრომლობს კლიენტთან დაკავშირებულ სხვა სპეციალისტებთან. F. **შეიმუშავებს** კვლევის დიზაინს და წარმართავს კვლევას ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის აქტუალურ საკითხებზე, აანალიზებს შედეგების რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს SPSS და NVivo პროგრამების გამოყენებით, კვლევის მეთოდოლოგიური და ეთიკური სტანდარტების

	დაცვით.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	კურსდამთავრებულს: G. **იცავს** პროფესიული ეთიკას და ღირებულებებს სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვებთან და მათი ოჯახის წევრებთან მუშაობისას. H. სისტემატურად **ახორციელებს** პროფესიული საქმიანობის თვითრეფლექსიას, იყენებს სუპერვიზიის შესაძლებლობებს და სტრატეგიულად გეგმავს პროფესიულ განვითარებას.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით
სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 2 წელს ანუ 4 სემესტრს შეადგენს. სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო
ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგის პროფესიული ფუნქციონირების არეალი მოიცავს ფორმალურ საგანმანათლებლო სისტემას (ადრეული განათლების ცენტრები, საბავშვო ბაღები, სკოლები, პროფესიული სასწავლებლები, უნივერსიტეტები), არაფორმალურ და ალტერნატიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, სამედიცინო-კლინიკურ გარემოს (ჰოსპიტალები, ჰოსპისები, სპეციალიზირებული კლინიკები, პედიატრიული განყოფილებები, სარეაბილიტაციო ცენტრები, ფსიქიკური ჯანმრთელობის დაწესებულებები, ადრეული ინტერვენციის ცენტრები, აბილიტაციის სერვისები), სახელმწიფო სტრუქტურებს (სოციალური მომსახურების სააგენტო, მანდატურის სამსახური, პენიტენციური დაწესებულებები, მუნიციპალური სერვის ცენტრები), ლოკალურ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს და კერძო სექტორს (საკონსულტაციო ცენტრები, ინდივიდუალური პრაქტიკა სუპერვიზიით, კვლევითი ორგანიზაციები). პროფესიული განვითარების გზაზე სპეციალისტებს შეუძლიათ ჩაერთონ საექსპერტო-საკონსულტაციო საქმიანობაში, აწარმოონ კვლევები, გახდნენ აკადემიური პერსონალი და გააგრძელონ სწავლა დოქტორანტურაში.

საკონტაქტო პირი: თამარ ქობულაძე ტელ: +995 555289803; e-mail: t.kobuladze@sabauni.edu.ge
სოფიო ნადირაძე ტელ: +995 568099991; e-mail: s.nadiradze@sabauni.edu.ge

სადოქტორო პროგრამები

საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალი (LAW)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის დოქტორი/Doctor Juris/Doctor of Law (Ph.D.)

სწავლების საფეხური: დოქტორანტურა

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი

სამართლის სადოქტორო პროგრამის მიზანია:

(A) სამართლის პრაქტიკისა და თეორიის აქტუალურ საკითხებზე სიღრმისეული სამეცნიერო ანალიზი, შედეგზე ორიენტირებული კვლევა და ახალი ცოდნის შექმნა;
(B) სამართლის დინამიკურ გამოწვევებზე ორიენტირებული მკვლევრებისა და აკადემიური პერსონალის მომზადება;
(C) მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომების შექმნით ქართული და შედარებითი სამართლისა და იურისპრუდენციის განვითარებაში წვლილი შეტანა.

სწავლის შედეგები

კურსდამთავრებული:

A. განსაზღვრავს თანამედროვე სამართლისა და იურისპრუდენციის აქტუალურ საკითხებს, მათი კვლევის საჭიროებას, კვლევის შესაბამის მეთოდებსადა მოსალოდნელ შედეგებს;
B. იკვლევს სამართლის პრობლემურ საკითხებს, შეიმუშავებს საკუთარ ორიგინალურ, კომპლექსურ და სიღრმისეულ დასკვნებს;
C. გეგმავს და შეიმუშავებს სასწავლო კურსებს, ატარებს ლექციებსა და სემინარებს სწავლების თანამედროვე და უახლესი მეთოდების გამოყენებით;
D. მონაწილეობს სამეცნიერო-კვლევით და აკადემიურ დისკუსიებში სამართლისა და სამართალთან დაკავშირებული ინტერდისციპლინური სფეროების მიმართულებით,

E. შედარებითსამართლებრივი მეთოდოლოგიის, სამართლის პირველადი და მეორეული წყაროების ანალიზის საფუძველზე ქმნის და აქვეყნებს მაღალი დონის საკვალიფიკაციო და აკადემიურ ნაშრომებს;
F. აკადემიური კეთილსინდისიერების გააზრებითა და დაცვით, იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ და თავისი ხელმძღვანელობით ჩატარებულ კვლევასა და შექმნილ აკადემიურ ნაშრომებზე, წვლილი შეაქვს ქართული და შედარებითი სამართლისა და იურისპრუდენციის განვითარებაში.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

60 ECTS

დასაქმების სფერო

საქმების სფერო მრავალფეროვანია. იმ დაწესებულებებისა და უწყებების გარდა, სადაც შესაძლებელია სამართლის მიმართულებით ერთ-ერთი კვალიფიკაციის ქონის შემთხვევაში დასაქმება, სამართლის დოქტორს დამატებით ეხსნება გზა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (ასისტენტ-პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე), კვლევით ორგანიზაციებში, საერთაშორისო აკადემიურ გაერთიანებებში. დოქტორის აკადემიური ხარისხი ავტომატურად ათავისუფლებს სანოტარო გამოცდისგან და კანონით დადგენილი სხვა წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სამართლის დოქტორს შეუძლია უგამოცდოდ გახდეს ნოტარიუსი.

საკონტაქტო პირი: დიმიტრი გეგენავა ტელ: +995 577233847; e-mail: d.gegenava@sabauni.edu.ge;

საგანმანათლებლო პროგრამა: საჯარო მმართველობა (Public Administration)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის დოქტორი/Doctor of Public Administration (Ph.D.)

სწავლების საფეხური: დოქტორანტურა

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის მიზანია:

(A) საჯარო მმართველობის პრაქტიკისა და თეორიის აქტუალურ საკითხებზე სიღრმისეული სამეცნიერო ანალიზის საფუძველზე, შედეგზე ორიენტირებული კვლევა და ახალი ცოდნის შექმნა;
(B) საჯარო მმართველობის გამოწვევებზე ორიენტირებული მაღალი კვალიფიკაციის მკვლევრებისა და აკადემიური პერსონალის მომზადება;
(C) მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომების შექმნით საჯარო მმართველობისა და სამოხელეო სამართლის განვითარებაში წვლილის შეტანა.

სწავლის შედეგები

კურსდამთავრებული:
(A) განსაზღვრავს საჯარო მმართველობის აქტუალურ საკითხებს, მათი კვლევის საჭიროებას, ირჩევს კვლევის შესაბამის მეთოდებსა და განსაზღვრავს მოსალოდნელ შედეგებს;
(B) იკვლევს და კრიტიკულად აანალიზებს საჯარო მმართველობის პრობლემურ საკითხებს, შეიმუშავებს საკუთარ სტრატეგიულ, ორიგინალურ, კომპლექსურ და სიღრმისეულ დასკვნებს.
(C) სწავლების თანამედროვე და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით გეგმავს და ატარებს ლექციებსა და სემინარებს, მონაწილეობს სამეცნიერო-კვლევით დისკუსიებში საჯარო მმართველობის მიმართულებით,
(D) აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით ქმნის და აქვეყნებს მაღალი დონის აკადემიურ ნაშრომებს, იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი ხელმძღვანელობით ჩატარებულ კვლევასა და მის შედეგებზე.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით
49 ECTS

პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო
საჯარო მმართველობის დოქტორის დასაქმების სფერო მრავალფეროვანია. საჯარო დაწესებულებებისა და უწყებების გარდა, საჯარო მმართველობის დოქტორს დამატებით ეხსნება გზა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (ასისტენტ-პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე), კვლევით ორგანიზაციებში, საერთაშორისო აკადემიურ გაერთიანებებში.

საკონტაქტო პირი: გიორგი გორაძე ტელ: +995 577 22 26 16 ; e-mail: g.goradze@sabauni.edu.ge

ნატო გუგავა ტელ: +995 577 76 99 11; e-mail: nato.gugava@sabauni.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამა: თეოლოგია (Theology)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: თეოლოგიის დოქტორი/Doctor of Theology (Ph.D.)

სწავლების საფეხური: დოქტორანტურა

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი

თეოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიზანია:

(A) სისტემატურ თეოლოგიასა და თეოლოგიის ისტორიაში აქტუალურ საკითხებზე სიღრმისეული სამეცნიერო ანალიზი, შედეგზე ორიენტირებული კვლევა და ახალი ცოდნის შექმნა;
(B) სისტემატური თეოლოგიის, თეოლოგიის ისტორიისა და ეკლესიის გამოწვევებზე ორიენტირებული მკვლევრებისა და აკადემიური პერსონალის მომზადება
(C) მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომების შექმნით თეოლოგიის განვითარებაში წვლილის შეტანა.

სწავლის შედეგები

კურსდამთავრებული:

(A) განსაზღვრავს ორიგინალურ ტექსტებზე დამყარებულ და ეკლესიის სწავლებით აპრობირებულ, ასევე უახლეს საღვთისმეტყველო მეცნიერულ მიდგომებზე დაფუძნებულ პრობლემურ საკითხებს სისტემატური თეოლოგიისა და თეოლოგიის ისტორიის მიმართულებით;
(B) კრიტიკულად აანალიზებს და სინთეზურად აფასებს ახალი, რთული და წინააღმდეგობრივ იდეებსა და მიდგომებს;
(C) მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში, ერთვება რეფერირებადი პუბლიკაციების სტანდარტების შესაბამისად სამეცნიერო დისპუტში, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით გეგმავს და ატარებს ინოვციურ აკადემიურ ლექციებსა და სემინარებს, აქვეყნებს მაღალი დონის სამეცნიერო ნაშრომებს;
(D) ახდენს სისტემატური თეოლოგიისა და თეოლოგიის ისტორიის პრობლემატიკის იდენტიფიცირებას, აკადემიური ეთიკისა და კეთილსინდისიერების დაცვით, შეიმუშავებს თეოლოგიური სამეცნიერო პრობლემების გადაწყვეტის დამოუკიდებელ და ორიგინალურ გზებს, იღებს აკადემიურ პასუხისმგებლობას კვლევის შედეგებზე.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით
59 ECTS

პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო
თეოლოგიის დოქტორის დასაქმების სფერო არც თუ ისე მრავალფეროვანია. საეკლესიო ინსტიტუტებისა და აგრეთვე იმ დაწესებულებებისა და უწყებების გარდა, სადაც შესაძლებელია თეოლოგიის მიმართულებით ერთ-ერთი კვალიფიკაციის ქონის შემთხვევაში დასაქმება, თეოლოგიის დოქტორს დამატებით ეხსნება გზა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (ასისტენტ-პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე), კვლევით ორგანიზაციებში, საერთაშორისო აკადემიურ გაერთიანებებში.

საკონტაქტო პირი: ვაჟა ვარდიძე ტელ: +995 599 76 51 46; e-mail: v.vardidze@sabauni.edu.ge

სტუდენტის მიღწევების შეფასების ზოგადი წესი

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა	
ხუთი სახის დადებით შეფასებას:	
(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:	
(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების ფორმები და კომპონენტები	
შეფასების ფორმები და კომპონენტები	მაქსიმალური ქულა
შუალედური შეფასება:	70 ქულა
1.1	
1.2	
1.3	
დასკვნითი შეფასება	30 ქულა
დასკვნითი წერითი/ზეპირი გამოცდა	30
სულ	100 ქულა
საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ	

შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. *შენიშვნა: შეფასების განსხვავებული სისტემა შესაძლებელია განისაზღვროს კონკრეტული პროგრამით და სილაბუსით.*